

არასათანადო მოპყროვის პრევენცია
პოლიციის საქმიანობაში



არასათანადო მოპყრობის პრევენცია პოლიციის საქმიანობაში

„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“

2019

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



**OPEN SOCIETY
FOUNDATIONS**

ანგარიში მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდების“ (OSF) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას.

ანგარიშის ავტორი: ანა ნასრაშვილი

ექსპერტი: რალფ ალვეველდტი

ანგარიშზე პასუხისმგებელი: გურამ იმნაძე

მთარგმნელი: ნინო კარანაძე

ყდის დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

დამკაბადონებელი: თორნიკე ლორთქიფანიძე

ქართული ენის რედაქტორი: მედეა იმერლიშვილი

ტირაჟი: 150

ISBN: 978-9941-8-1963-6

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 233706

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი	6
მეთოდოლოგია.....	7
მიგნებები და რეკომენდაციები.....	9
კონტექსტის მიმოხილვა	14
I. არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები.....	16
1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი	16
2. მოსამართლის როლის გაზრდა	20
3. დაზარალებულის სტატუსი.....	21
4. ცვლილება დაკავებულის პირველადი სამედიცინო შემოწმების წესში.....	22
II. წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები.....	23
1. დაკავების დოკუმენტირება.....	23
2. ადვოკატთან/ოჯახთან კომუნიკაციის სისტემა	26
3. პირველადი დახმარება და ღირსეული პირობები.....	29
4. დაკავებული პირის დაყოვნება პოლიციის მანქანაში ან განყოფილებაში	31
4.1 პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გამოკითხვა	34
5. პოლიციელის და მოქალაქის ურთიერთობის კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტირება	38
5.1 სამხრე კამერებით ვიდეოგადაღება	38
5.2 მობილური ტელეფონის გამოყენება.....	41
5.3 შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა.....	42
6. ძალის გადამეტების პრევენციის მიზნით სწავლება და გადამზადება.....	44
6.1 არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პოლიციელთა სწავლება და გადამზადება	45
III. დასკვნა	51

შესავალი

სამართალდამცავი სისტემის თანამშრომლების ჩადენილ არასათანადო მოპყრობის დანაშაულებზე ეფექტიანი რეაგირება და დამნაშავეთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, წლების განმავლობაში, მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვანი გამოწვევაა. სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი შემთხვევების დაუსჯელობამ კანონზომიერი სახე მიიღო, რის გამოც არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, კრიტიკულად აუცილებელი გახდა საკანონმდებლო დონეზე ცვლილებების გატარება, მათ შორის, ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შემოღება.

პოლიციის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების თუ მათი კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ ჩადენილ სხვა დანაშაულთა გამოძიების პრობლემები ინსტიტუციურ დამოუკიდებლობასთან ერთად, საკანონმდებლო და პრაქტიკულ ტრილში უნდა განვიხილოთ.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის განმაპირობებელ ფაქტორებს, წინამდებარე დოკუმენტში, ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეთა ერთგვაროვანი პრობლემების განხილვის საფუძველზე გავაანალიზებთ. პოლიციის თანამშრომელთა კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე EMC-ის წარმოებაში, 2017 წლიდან დღემდე, 6 სისხლის სამართლის საქმეა, რომელშიც სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობა 16 მოქალაქის მიმართ განხორციელდა. ამ საქმეთა ანალიზი საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებულ იდენტური ხასიათის ხარვეზებზე მიუთითებს. არასათანადო მოპყრობის პრევენციას მნიშვნელოვნად ართულებს პოლიციელისა და მოქალაქის ურთიერთობის დოკუმენტირების ვალდებულების არარსებობა, კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებებით აღბეჭდვის იშვიათობა, ძალის გადამეტების პრევენციისთვის სპეციალური სწავლებისა და გადამზადების არაეფექტიანობა და სხვა გარემოებები.

არასათანადო მოპყრობის პრობლემაზე სახელმწიფოს არაეფექტიანი რეაგირების ფაქტორების მოქმედი კანონმდებლობის შუქზე გაანალიზების შემდეგ, საერთაშორისო სტანდარტებისა და სხვადასხვა ქვეყნის კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, წარმოგიდგინთ კანონმდებლობაში განსახორციელებელ ცვლილებებს, რომლებმაც არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სათანადო რეაგირებისა თუ პრევენციის თვალსაზრისით, სახელმწიფოს ხელი უნდა შეუწყოს მის წინაშე არსებული პრობლემის დაძლევაში.

მეთოდოლოგია

საქართველოში პოლიციის თანამშრომელთა მიერ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის გამოძიების პრობლემები დოკუმენტში გაანალიზებულია ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ საქმეებზე დაყრდნობით, რომლებიც 2017 წლიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა საპოლიციო დანაყოფის თანამშრომლების მიერ ჩადენილ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებს მოიცავს. საქმეთა ერთგვაროვანი პრობლემების განსახილველად, დამატებით ინსტრუმენტებად გამოყენებულია საჯარო ინფორმაცია, არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი.

კანონმდებლობის ანალიზი

დოკუმენტის მოსამზადებლად გაანალიზდა შესაბამისი საკანონმდებლო აქტები, სახელმწიფოს მიერ არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინსტიტუციურ ცვლილებებსა და საპოლიციო თუ საგამოძიებო უფლებამოსილებების აღსრულების დროს არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზე, რომლებიც პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, სხვადასხვა სიტუაციაში არასათანადო მოპყრობის რისკებს ზრდის.

საჯარო ინფორმაცია

დოკუმენტის მიზნებიდან გამომდინარე, საჯარო ინფორმაციის სახით დამუშავდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული სხვადასხვა სტატისტიკური ინფორმაცია, შიდა მარეგულირებელი აქტები, პოლიციის თანამშრომელთა და საპოლიციო დაწესებულებათა ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის, მოპოვებული მონაცემების შენახვის, დაკავებულთა საპროცესო უფლებების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტების შესახებ ინფორმაცია, ასევე, არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით პოლიციის თანამშრომელთა მომზადებისა და გადამზადების სასწავლო კურსებთან დაკავშირებული საკითხები.

გამოთხოვილი ინფორმაციის დიდი ნაწილი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოგვანოდა, თუმცა ზოგიერთ საკითხზე, მათ შორის, საპოლიციო დანაყოფების ვიდეოკამერებით აღჭურვის, პოლიციელთა რადიოგადამცემის მეშვეობით კომუნიკაციის საკითხებზე, ინფორმაცია არ მიგვიღია.

საერთაშორისო პრაქტიკა

ქვეყანაში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით არსებული საკანონმდებლო თუ პრაქტიკული პრობლემების გადაჭრის გზების მოსაძიებლად, ექსპერტის მონაწილეობით გაანალიზდა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც განსაზღვრულია წამების საწინააღმდეგო კომიტეტის თუ სხვა ორგანიზაციების მიერ კონკრეტული დოკუმენტების ფარგლებში.

სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ძალის გამოყენების ფაქტორებთან დაკავშირებით, ამავე დოკუმენტში მოცემულია საქართველოს პრაქტიკისთვის შესაბამისი რამდენიმე ქვეყნის, მათ შორის, სლოვენის, დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, გერმანიის საუკეთესო გამოცდილება.

მიგნებები და რეკომენდაციები

არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების ანალიზის საფუძველზე, შემდეგი პრობლემური საკითხები გამოიკვეთა:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია სამართალდამცავი პირების მხრიდან ძალის გადამეტების პრევენციის ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირის უფლებებისა და საჭიროებების თაობაზე ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხს ერთიანად მოიცავს;
- ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებულ პირთა დაკავების ოქმები ვერ უზრუნველყოფს სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევასთან დაკავშირებული ინფორმაციის სრულყოფილ ასახვას;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით მოსამართლის უფლებამოსილების გაზრდისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, მკაფიოდ არ განსაზღვრავს მოსამართლის უფლებამოსილებას - გამოძიების დაწყების მოთხოვნით საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის თაობაზე;
- ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის თაობაზე კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სამართალდამცავთა მხრიდან სათანადო დოკუმენტაციის შედგენის ვალდებულებას;
- პოლიციის დაწესებულებაში მიყვანილ დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალი მოიცავს მონაცემებს დაკავებულ პირთა საპოლიციო დანაყოფში დაყოვნების დროის, დაზიანებების არსებობის, დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის დეტალების თაობაზე, თუმცა არ აღრიცხავს პოლიციის შენობაში სხვა სტატუსით მიყვანილ პირთა მსგავს მონაცემებს;
- სამართალდამცავ უწყებაში არ მიმდინარეობს დაკავებული პირის მიერ ადვოკატთან წვდომის თაობაზე მოთხოვნის დოკუმენტირება, რის გამოც, პრაქტიკაში შეუძლებელია დადგინდეს პოლიციელთა წინაშე დაკავებულის ამგვარი მოთხოვნის დაყენების რეალური დრო და სამართალდამცავთა მხრიდან ადვოკატის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- დაკავების შემდგომ პირის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის სამართლებრივი საფუძველი, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარია; არ არის განსაზღვრული დაკავებულის საპოლიციო დაწესებულებაში დაყოვნების მაქსიმალური დრო, რაც, შესაძლოა, პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირების უფლებების დარღვევის მიზნით იქნეს გამოყენებული;
- საპოლიციო სისტემაში მოქმედ თანამშრომელთაგან, სამხრე ვიდეოკამერებით აღჭურვილია მხოლოდ საპატრულო პოლიცია, რომელიც საპოლიციო ღონისძიებების განხორციელებისას, უფლებამოსილია ჩართოს სამხრე ვიდეოკამერა, თუმცა ამ ტექნიკური საშუალების გამოყენება მოქმედი კანონმდებლობით არ ევალება;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა მარეგულირებელი აქტებით მონესრიგებული არ არის პოლიციის თანამშრომელთა მიერ უფლებამოსილების განხორციელების დროს პირადი მობილური ტელეფონის გამოყენების საკითხი, რაც პრაქტიკაში, სამართალდამცავთა მხრიდან ამ ბერკეტის თვითნებურად გამოყენებაში ვლინდება;
- მოქალაქის მიერ საპოლიციო/საგამოძიებო ღონისძიების პირადი მობილური ტელეფონით აღბეჭდვისას პოლიციის თანამშრომლის მხრიდან ხელშეშლის შემთხვევას, კანონმდებლობა მკაფიოდ არ განსაზღვრავს სამართალდამცავი პირისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად;
- პოლიციის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოების შიდა და გარე პერიმეტრები, ასევე, პოლიციის სარგებლობაში არსებული ავტომობილები სათანადოდ არ არის აღჭურვილი ვიდეოკამერებით; პოლიციის დაწესებულებებში მოქალაქესთან კომუნიკაციისთვის განკუთვნილ შიდა სივრცეებში არ არის დამონტაჟებული მეთვალყურეობის ტექნიკური საშუალებები;
- პოლიციის თანამშრომელთა ხუთწლიანი პერიოდულობით სწავლება და გადამზადება, არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნებისთვის, საკმარისი არ არის.

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად, EMC წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- სამართალდამცავებისთვის შემუშავდეს დაკავებისა და დაპატიმრების, იძულების ღონისძიების გამოყენების პროცედურებთან დაკავშირებული ერთიანი სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც მოქალაქესთან პოლიციელის სანყის ეტაპზე კონ-

ტაქტიდან ყველა შემდგომ მოქმედებას და მასთან დაკავშირებულ უფლებრივ გარანტიებს თანმიმდევრულად განერს;

- არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად შემუშავდეს ერთიანი ყოვლის-მომცველი დაკავების ოქმი, რომელიც დაკავების მომენტიდან პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე პერიოდის ყველა გარემოებას აღწერს, მათ შორის, ერთიანად ასახავს დაკავებული პირის უფლებების განმარტების ზუსტ დროს, დაკავებულის დაშავების ნიშნებს, დაავადების არსებობას, პოლიციის დანე-სებულებაში დაყოვნების პერიოდს და მიზეზებს, ოჯახთან/ახლობელთან და ადვო-კატთან დაკავშირების და მონახულების, დაკავებულის საკვებით უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მესამე პირებთან კომუნიკაციის დეტალებს;
- დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალში შეტანილ იქნეს დაკავებული პირის მიერ ად-ვოკატის მოთხოვნის შესახებ ზუსტი ინფორმაცია და ადვოკატის ხელმისაწვდომო-ბის უზრუნველსაყოფად, სამართალდამცავი უწყების მხრიდან გადადგმული ნაბი-ჯები;
- ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შესავსებად, პირის პოლიციის დანაყოფში გა-დაყვანის შემთხვევებში, სამართალდამცავი უწყების თანამშრომელს დაევალოს, დაკავების ოქმში დეტალურად მიუთითოს ასეთი მიზეზის თაობაზე;
- საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მსგავსად, მოქალაქესთან ურთიერთობა-ში მყოფი სამართალდამცავი პირები აღიჭურვონ სამხრე ვიდეოკამერებით;
- მოქალაქესთან კომუნიკაციის დროს, სამართალდამცავს დაეკისროს სამხრე ვიდე-ოკამერის გამოყენების ვალდებულება; სამართლებრივად განისაზღვროს ამგვარი ტექნიკური საშუალებით მოპოვებული მონაცემების ცენტრალიზებულად გონივრუ-ლი ვადით შენახვის წესები;
- სამართალდამცავის მოქალაქესთან ურთიერთობის დროს, ობიექტური მიზეზით სამ-ხრე ვიდეოკამერის არარსებობის შემთხვევებისთვის, შემუშავდეს ალტერნატიული ტექნიკური საშუალების გამოყენებისა და ამ მონაცემთა შენახვის წესი. მკაფიოდ გა-ნისაზღვროს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან პირადი მობილური ტელეფო-ნის სამსახურებრივი მოქმედებების გადასაღებად გამოყენების დაუშვებლობა.
- პოლიციელთა მხრიდან, მოქალაქეთათვის პირადი მობილური ტელეფონით საპო-ლიციო/საგამოძიებო მოქმედებათა გადაღების ხელშეშლა გახდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი;

- ვიდეომეთვალყურეობის კამერებით აღიჭურვოს პოლიციის დაწესებულების ყველა ის სივრცე, სადაც მოქალაქეს შეიყვანენ და მასთან საგამოძიებო/საპოლიციო/ოპერატიული ღონისძიება განხორციელდება. განისაზღვროს ამ ვიდეოჩანანერების გონივრული ვადით ცენტრალიზებულად შენახვის წესი;
- ტექნიკური ჩამწერი საშუალებით აღიჭურვოს ავტომატურად, რომლითაც დაკავებული პირი გადაჰყავთ;
- აღირიცხოს საპოლიციო დანაყოფში ნებისმიერი სტატუსით მიყვანილი პირის შესვლის, გამოსვლის ზუსტი დროები, ჯანმრთელობის მდგომარეობის/დაზიანებების არსებობის, საპოლიციო დაწესებულებაში მისვლის მიზეზის შესახებ ინფორმაცია; ამ ინფორმაციის დოკუმენტირების სისწორეზე, პოლიციელთა თვითნებობის აღკვეთის მიზნით, დაწესდეს კონტროლის მექანიზმი;
- განისაზღვროს პოლიციელთა მრავალმხრივი, რეგულარული და ეფექტიანი ტრენინგები დაპატიმრებისას ან საპოლიციო დაკავებისას ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. პოლიციელთათვის ჩატარებული ტრენინგები შინაარსობრივად მოიცავდეს ისეთ საკითხებზე განსაკუთრებულ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, რომელთა გამოყენების დროს მოქალაქის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი მაღალია;
- სპეციალური გადამზადების კურსებთან ერთად, პოლიციელებს ჩაუტარდეთ ინტერპერსონალური კომუნიკაციის, კონფლიქტის არაძალადობრივი მართვისა და სტრესის მართვის ტრენინგები დაკავების, დაპატიმრების, იძულების ღონისძიებების გამოყენების ეტაპებზე;
- საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სამინისტროს აკადემიამ შეიმუშაოს არასათანადო მოპყრობის პრევენციის ყოვლისმომცველი პრაქტიკული კურსი, რომელიც ერთობლივად მოიცავს გამოკითხვის, დაკავების, დაპატიმრების თეორიულ, პრაქტიკულ საკითხებს.

საქართველოს პარლამენტს:

- გატარდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ფუნდამენტური რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისგებაში მიცემულ პირთა/დაკავებულთა ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ პროცედურულ გარანტიებს;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდეს ცვლილება და მოსამართლის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის გამოძიების დაწ-

ყების თაობაზე მიმართვის უფლებამოსილება გათვალისწინებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლეს გაუჩნდება ეჭვი ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე;

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მოწესრიგდეს სამართალდარღვევისთვის დაკავებული პირის ოჯახთან კომუნიკაციის საკითხები და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის ვალდებულება, სათანადო დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, პირის დაკავების კანონიერების შესამოწმებლად, შევიდეს ცვლილება და შეიქმნას შიდა ან/და ადმინისტრაციული მექანიზმი, რომელიც შეაფასებს პირის დაკავების კანონიერებას პირველი 48 საათის განმავლობაში; ანალოგიური საკანონმდებლო ცვლილება გავრცელდეს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის მიმართ, რომლის დაკავების ვადა 12 საათს აღემატება;
- დავიწროვდეს ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ სამართალდამცავთა წრე (გარდა დანაშაულზე წასწრების შემთხვევებისა);
- გაფართოვდეს იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისგებაში მიცემული პირისთვის იურიდიული დახმარების აღმოჩენას არ განაპირობებდეს მხოლოდ გადახდისუუნარობის, საქმის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული სანქციის ასპექტები;
- სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთან მიმართებით, კანონმდებლობით ძირითად წესად განისაზღვროს დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანა. საგამონაკლისო შემთხვევებში პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანა მოხდეს კანონით ზუსტად განერილი საფუძვლებით და პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის დაყოვნების მაქსიმალური დრო მოწესრიგდეს კანონით;
- ოპერატიული, საპოლიციო თუ საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში პოლიციის დაწესებულებაში მიყვანილ მოქალაქესთან პოლიციის თანამშრომლის კომუნიკაცია სავალდებულო წესით აღიბეჭდოს აუდიო ან/და ვიდეოჩანაწერის წარმოებით, განისაზღვროს მოპოვებული მონაცემების გონივრული ვადით უსაფრთხოდ შენახვის წესები.

კონტექსტის მიმოხილვა

წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის პრობლემა საქართველოში, ბოლო წლების განმავლობაში, სისტემური პრაქტიკის სახით აღარ დგას, თუმცა არასათანადო მოპყრობასთან ეფექტიანი ბრძოლა ქვეყნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტიანი და დროული გამოძიება პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ დანაშაულებზე, რომელიც პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობაშია, არ ტარდება, რაც ინსტიტუციური და საკანონმდებლო მიზეზებით აიხსნება.¹

ამ საკითხის პრობლემურობაზე, არასათანადო მოპყრობის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფარგლებში, ყოველწლიურად საუბრობს სახალხო დამცველი. მაგალითისთვის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2013-2017 წლების ანგარიშებში, ქვეყანაში არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოძიებასთან დაკავშირებით, აღნიშნულია, რომ საქართველოს მთავარ პროკურატურას მითითებულ პერიოდში სამართალდამცავი პირების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიების დაწყების თაობაზე 72 წინადადება გაეგზავნა. არცერთ ამ შემთხვევაში, პროკურატურას სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაუწყია². ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების შიდა სტატისტიკით, 2017-2019 წლებში არასათანადო მოპყრობის 50-ზე მეტი შემთხვევა გამოვლინდა და შესაბამისი მიმართვებიც გაიგზავნა პროკურატურაში, თუმცა, ამ დრომდე, არცერთი პირის მიმართ არ დამდგარა განაჩენი.³

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილ არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით, გამოძიების დაწყება და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება 2019 წლის პირველ ნოემბრამდე, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას წარმოადგენდა.⁴ 2018 წელს პროკურატურის ფარგლებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება სულ 367 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო, საიდანაც ბრალდებულის სახით, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში 13 პირი მიეცა. 2019 წლის 9 თვის ანალოგიური მონაცემებით, სავარაუდოდ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, გამოძიება 237 საქმეზეა

1 იხ. კოალიციის შეფასება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XBJuyg>.

2 საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.11.

3 იხ. კოალიციის შეფასება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების გადავადების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xzr2BQ>.

4 სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 8 ივლისის №34 ბრძანება.

დანყებული, ხოლო ხსენებული შემთხვევებიდან, სისხლისსამართლებრივი დევნა სულ 6 პირის მიმართ დაიწყო.⁵

პროკურატურის მიერ სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლის მიმართ გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი 2018-2019 წლებში

მუხლი	2018		2019 წლის 19 სექტემბრამდე	
	გამოძიება	ბრალდებული პირი	გამოძიება	ბრალდებული პირი
სულ	367	13	237	6
უფლებამოსილების გადაშეცემა (სსკ 333-ე მუხლი)	332	12	227	3
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ 332-ე მუხლი)	0	1	0	2
წამება (სსკ 144 ¹ -ე მუხლი)	14	0	1	0
დამამცირებელი მოპყრობა (სსკ 144 ³ -ე მუხლი)	21	0	9	1

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მხრიდან ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევის ფაქტებზე ჩატარებული გამოძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გამოწვევა წლების განმავლობაში თვალსაჩინო იყო, და გამოიხატებოდა სხვადასხვა ფაქტორით ამ დანაშაულთა გამოძიების და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის იშვიათობაში⁶. არასათანადო მოპყრობის სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურატურის არაეფექტიანი რეაგირება სახალხო დამცველის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან, სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მოთხოვნის საფუძველი გახდა, რომელიც 2019 წლის პირველი ნოემბრიდან ამოქმედდა.

⁵ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 8 ოქტომბრის №13/71009 წერილი.

⁶ საქართველოს სახალხო დამცველის 2014-2017 წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

I. არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები

მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულებებზე სახელმწიფოს რეაგირების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ფრაგმენტული, თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა 2018 წელს რამდენიმე პროცესუალურ და ინსტიტუციურ საკითხთან დაკავშირებით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს არასათანადო მოპყრობის გამოძიების პროცესში მოსამართლის როლის გაზრდა და გამოძიების პროცესში დაზარალებულად ცნობის თაობაზე სასამართლოს კონტროლის შემოღება, ისევე როგორც არასათანადო მოპყრობის დანაშაულთა გამოძიებაზე პასუხისმგებელი ინსტიტუციურად დამოუკიდებელი ორგანოს შექმნა.

წინამდებარე თავის მიზანია, სამართალდამცავ სისტემაში ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების შეფასება.

1. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა, სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა დაუსჯელობის პრობლემის აღმოსაფხვრელად, წლების განმავლობაში იყო ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების უცვლელი მოთხოვნა. სწორედ სისტემური ხარვეზების გამოსწორების მიზნით, ჯერ კიდევ 2015 წელს, სამოქალაქო საზოგადოებამ, სახალხო დამცველის მონაწილეობით, კანონპროექტიც შეიმუშავა, რომელიც საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნას ითვალისწინებდა.⁷ ინსტიტუციურად დამოუკიდებელი საგამოძიებო უწყების შექმნის საჭიროებაზე ყურადღება გამახვილებულია 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ასოციირების შესახებ შეთანხმებასა და მის თანმხლებ 2014-2016 წლების ასოციირების დღის წესრიგშიც.⁸

ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ხანგრძლივი დისკუსიებისა და სხვადასხვა ფორმატში მსჯელობის შედეგად, საბოლოოდ, პარლამენტმა 2018 წლის 21

7 იხ. კოალიციის და სახალხო დამცველის შეფასება დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2rhPyuW>.

8 იხ. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35nrKon>.

ივლისის მიიღო კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, რომლითაც, სხვა ამოცანებთან ერთად, არასათანადო მოპყრობის დანაშაულებზე საგამოძიებო კომპეტენცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიეკუთვნა. ეს უწყება, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის უფლებამონაცვლე გახდა და დამატებით ფუნქციად სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება შეითავსა.⁹ კანონის ამოქმედების ვადად, გარდამავალი დებულების თანახმად, თავდაპირველად, 2019 წლის პირველი იანვარი განისაზღვრა. ამის მიუხედავად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილების ამოქმედება, 2018 წლის 21 ივლისიდან ოთხჯერ გადავადდა და საბოლოოდ, საგამოძიებო სამსახურის ამოქმედების ვადად 2019 წლის პირველი ნოემბერი განისაზღვრა. გადავადების მიზეზი, საქართველოს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში იმ ფინანსური სახსრების გაუთვალისწინებლობა იყო, რომელიც, სამსახურის კადრებით უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკური საკითხებისთვის უნდა გამოყოფილიყო¹⁰.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობასა და მანდატთან დაკავშირებული საკანონმდებლო ხარვეზების მიუხედავად, მისი კანონით განსაზღვრულ ვადაში - 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებისთვის საჭირო ყველა ნაბიჯის გადადგმა, არასათანადო მოპყრობის შემთხვევებთან დაკავშირებული სისტემური პრობლემების მოსაგვარებლად, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა იყო. საგამოძიებო მექანიზმის რამდენჯერმე გადადებამ რეაგირების გარეშე დატოვა არაერთი სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც სამართალდამცავთა სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედება იკვეთებოდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დროულად და ეფექტიანად ამოქმედების უპირობო აუცილებლობა კიდევ უფრო მკაფიოდ გამოჩნდა 2019 წლის 20-21 ივნისს, პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართული აქციის მონაწილეების მიმართ, აქციის მიმდინარეობისას, დაკავებისას და დაკავების შემდგომ სამართალდამცავების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების ფონზე. აღნიშნულზე საქართველოს გენერალური პროკურატურა გამოძიებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აწარმოებს, რაც, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის დროული ამოქმედების პირობებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას დაეჭვმდებარებოდა.

არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სახელმწიფოს სათანადო რეაგირებისთვის დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა დადებითად შეაფასა ფართო საზოგადოებამ. ამის მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის კანონით განსაზღვრული მანდატი შეზღუდულია, რაც კითხვებს ბადებს მის ეფექტიანობასთან

9 იხ. კოალიციის შეფასება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34ntPQU>.

10 იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/336srRj>.

დაკავშირებით. პრობლემურია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო კომპეტენციას არ მიეკუთვნება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, გენერალური პროკურორისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევა¹¹. კრიტიკულად შეფასდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო მანდატის დავიწროებაც, კანონით წინასწარ განსაზღვრული დანაშაულების ჩამოთვლით. კერძოდ, სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობაში შევიდა სამართალდამცავთა მიერ ჩადენილი შესაძლო წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის დანაშაულები, ასევე, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და გადამეტების შემთხვევები, რომელთა ჩადენა ძალადობის, იარაღის გამოყენებით, ან დაზარალებულის ღირსების შეურაცხყოფით მოხდა. სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილებას მიეკუთვნა ჩვენების მიცემის იძულების სისხლის სამართლის საქმეები, სამართალდამცავის მიერ სავარაუდოდ ჩადენილი სხვა ნებისმიერი დანაშაული, რამაც სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.¹² დასახელებულ დანაშაულთა მიღმა არსებული ქმედებები, რომლებიც ასევე შეიძლება გამოიხატოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან მოქალაქეზე რაიმე სახის იძულებაში, უწყების ქვემდებარეობიდან ავტომატურად გამოორიცხულია. დამოუკიდებელი საგამოძიებო სამსახურის ეფექტიანობასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხი იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მხოლოდ საგამოძიებო და არა სისხლისსამართლებრივი დევნის უფლებამოსილებით აღჭურვა იმ პირობებში, როდესაც მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საპროკურორო ზედამხედველობის მეტად ინტენსიურ და ფართო შინაარსს ითვალისწინებს, რომლის დროსაც გამოძიების პროცესს ფაქტობრივად მთლიანად პროკურორი წარმართავს.¹³

დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ეფექტიანი მუშაობის ხელშემშლელი დამატებითი ფაქტორი შეიძლება გახდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გენერალური პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილება, საგამოძიებო ქვემდებარეობის გვერდის ავლით, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს საქმე და იგი სხვა საგამოძიებო ორგანოს გადასცეს გამოსაძიებლად¹⁴. გენერალური პროკურორის ამ უფლებამოსილების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო საქმიანობაში ჩარევის წინააღმდეგ, კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საკმარისი გარანტიები. სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორის უფლებას, გენერალურ პროკურორს დასაბუთებული წინადადებით მიმართოს იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი გახდა, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ

11 „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი.

12 „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლი.

13 კოალიციის შეფასება სახელმწიფო ინსპექტორის შექმნასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33cvRC4>.

14 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

საქმეს, რომელიც ამავე ორგანოს გენერალური პროკურორის ექსკლუზიური უფლებამოსილების საფუძველზე გადაეცა. გენერალური პროკურორი ვალდებულია, სახელმწიფო ინსპექტორის წერილობითი მიმართვის წარდგენიდან 24 საათში განიხილოს ინსპექტორის წინადადება, თუმცა კანონი არ აწესრიგებს გენერალური პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონტროლის რაიმე მექანიზმს. ამგვარად, კანონმდებლობა, ერთი მხრივ, არ ზღუდავს გენერალური პროკურორის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმის სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის გადაცემის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, პრობლემურია, რომ გენერალური პროკურორი, საკუთარი ინიციატივით სხვა საგამოძიებო ორგანოსთვის სისხლის სამართლის საქმის დაქვემდებარების გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორის წერილობით მიმართვას კვლავ თავად, გარე კონტროლის შესაძლებლობის გარეშე განიხილავს და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო საქმიანობის დახვეწის მიზნით, ცვლილებები შეეხო ზედამხედველ პროკურორთან საგამოძიებო ორგანოს კომუნიკაციის მარეგულირებელ საკითხებს. საგამოძიებო სამსახურის საქმიანობაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეს კონკრეტული გამოძიების ფარგლებში სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედების ჩატარების რეკომენდაციით პროკურორისთვის მიმართვის შეკვეცილი ვადა გაეზარდა. ასევე გაუქმდა საგამოძიებო ორგანოსთვის დანესებული ის ვადა, რომელშიც საგამოძიებო სამსახურს გამოძიების ზედამხედველი პროკურორისთვის მტკიცებულებათა ნუსხაში კონკრეტული მტკიცებულების შეტანის თაობაზე დასაბუთებული წინადადებით მიმართვა შეეძლო.¹⁵ აღნიშნული ცვლილებები, საგამოძიებო თუ საპროცესო მოქმედებების ეფექტიანად განხორციელებისთვის, დადებითად უნდა შეფასდეს.

დამატებითი საკანონმდებლო ცვლილებით, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებით აღიჭურვა. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში ოპერატიული საქმიანობის ფუნდამენტური რეფორმირების საჭიროებისა და გამოძიების პროცესში ოპერატიული საქმიანობის როლის ზოგადი ბუნდოვანების მიუხედავად, ამ ცვლილებით სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახური, უფლებამოსილებით სხვა საგამოძიებო ორგანოებს გაუთანაბრდა.

15 იხ. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OvJ97y>.

2. მოსამართლის როლის გაზრდა

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და მასზე დროული და ჯეროვანი რეაგირებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ პირთა როლი, რომელთაც პირველადი შეხება აქვთ დაკავებული ან რაიმე სხვა სახით თავისუფლებაშემზღუდული პირის მიმართ. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი პირის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით, ცვლილებები შევიდა კანონმდებლობაში. კონკრეტულად კი, მოსამართლეს პირველად მიენიჭა უფლებამოსილება, საგამოძიებო ორგანოს გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართოს, თუ ბრალდებული/მსჯავრდებული მის მიმართ წამების, არაადამიანური, ან დამამცირებელი მოპყრობის შესახებ განაცხადებს, ან მოსამართლეს თავად გაუჩნდება ეჭვი აღნიშნულის თაობაზე. პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მოსამართლეს მიეცა უფლება, მიიღოს განჩინება განსაკუთრებული ზომების შესახებ, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ღონისძიებას შეიძლება გულისხმობდეს.¹⁶

არასათანადო მოპყრობასთან ეფექტიანი ბრძოლის მიზნით, სისხლის სამართლის საქმის წარმოების ეტაპზე მოსამართლის როლის გაზრდა აუცილებელი იყო, თუმცა მოსამართლის საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვის უფლებამოსილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებულ პირზე სამართალდამცავი პირის ძალადობის შესაძლო ფაქტებს არ შეხებია. ამგვარ შემთხვევებზე მოსამართლის უფლებამოსილების გავრცელება არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის ასევე მიზანშეწონილია, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებული პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევები პრაქტიკაში ხშირია¹⁷. წინამდებარე კვლევის ფარგლებში EMC-ის წარმოებაში არსებული არასათანადო მოპყრობის ექვსიდან ხუთ საქმეში სწორედ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებზე პოლიციელთა სავარაუდო ძალადობაა გამოძიების საგანი.

ამდენად, არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მიზანშეწონილია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაჩნდეს მოსამართლის მიერ საგამოძიებო ორგანოსთვის გამოძიების დაწყების თაობაზე მიმართვის ანალოგიური უფლებამოსილების ჩანაწერი, რაც საკანონმდებლო ცვლილებით სისხლის სამართლის პროცესის სტადიებისთვისაა გათვალისწინებული.

16 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191¹-ე მუხლი.

17 საქართველოს სახალხო დამცველის 2017-2018 წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

3. დაზარალებულის სტატუსი

არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზანია სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დაცვა. ეფექტიანი გამოძიების წარმოებისა და დამნაშავეის პასუხისგებაში მიცემის მთავარი ინტერესიც სწორედ წამების, დამამცირებელი თუ არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლს აქვს. შესაბამისად, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს ამ პირის გამოძიებაში მონაწილეობას, რაც გამოძიების მიმდინარეობის შესახებ სათანადო ინფორმირებას, გამოძიების ხარვეზების გამოვლენის შესაძლებლობას, მტკიცებულებების გაცნობის უფლებას გულისხმობს.

გამოძიების წარმოების პროცესში დაზარალებულის სტატუსის მოპოვება დასახელებული უფლებების მიღწევის ერთადერთი შესაძლებლობაა.¹⁸ EMC-ის წარმოებაში არსებულ საქმეებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრაქტიკა არაერთგვაროვანია და ხშირად, გამოძიების საქმის მასალებზე წვდომის შეზღუდვის მიზნით, პირის დაზარალებულად ცნობაზე დაუსაბუთებლად უარის თქმის საფუძველი ხდება.

2018 წლის 14 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე,¹⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობას, განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულების გარდა, მხოლოდ ერთჯერადად, ზემდგომ პროკურორთან საჩივრის წარდგენით იცნობდა. ამის შემდეგ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში დაზარალებულად ცნობის წესი რამდენჯერმე შეიცვალა, საბოლოოდ კი, მოქმედი რედაქციით, სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებზე პირის დაზარალებულად ცნობაზე უარი, სასამართლოში ერთჯერად გასაჩივრებას დაექვემდებარა.²⁰

18 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად, გამოძიების მასალებზე წვდომა პირს მხოლოდ დაზარალებულად ცნობის შემდგომ გააჩნია.

19 საქართველოს მოქალაქეები - ხვიზა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია, გვანცა გაგნიაშვილი და შპს „ნიკანი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელები №1229, №1242, №1247 და №1299), საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმების თანახმად, სასამართლოში არ საჩივრდებოდა პროკურორის დადგენილება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულით დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმისა და ამავე კატეგორიის დანაშაულით დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, სისხლის სამართლის პროცესში კანონმდებლობით განსაზღვრულ მნიშვნელოვან უფლებებზე წვდომის წინაპირობაა. შესაბამისად, პირს აქვს დაზარალებულის სტატუსთან დაკავშირებით მიღებული პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების მომეტებული ინტერესი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ, ერთი მხრივ, პროკურორის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ინტერესი და, მეორე მხრივ, ამ ურთიერთობაში დისკრიმინაციისაგან დაცვის საჭიროება აღემატებოდა სადავო ნორმით დაცულ სიკეთეს - სასამართლოს გადატვირთვის პრევენციას.

20 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესული ცვლილებით²¹, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეებზე, დაზარალებულს, სხვა კატეგორიის დანაშაულებისგან განსხვავებით, საგამონაკლისოდ მიენიჭა უფლება, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე საგამოძიებო ორგანოს უარი სასამართლოში გაასაჩივროს. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით სასამართლო კონტროლის შემოღებასთან ერთად, აღნიშნული ცვლილება არასათანადო მოპყრობის გამოძიების გამჭვირვალობის კუთხით გადადგმული დადებითი ნაბიჯია.

4. ცვლილება დაკავებულის პირველადი სამედიცინო შემოწმების წესში

არასათანადო მოპყრობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი პირის სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო აღბეჭდვა და სამართალდამცავი ორგანოს დროული ინფორმირებაა. დაკავებული პირების შემთხვევაში, დაზიანებების დოკუმენტირება, ერთი მხრივ, დაკავების ოქმში შესაბამისი ინფორმაციის შეტანით, მეორე მხრივ კი, დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის გადაყვანის შემდგომ სამედიცინო შემოწმებით ხდება.

დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის პირველადი სამედიცინო შემოწმების წესთან დაკავშირებით, ცვლილება განიცადა შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორის შინაგანანწესმა.²² სახალხო დამცველის რეკომენდაციების შესაბამისად²³, შინაგანანწესით, განისაზღვრა დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის ვალდებულება, წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, თავად მიმართოს წერილობით საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი სამედიცინო პერსონალისთვის მინიჭებული ეს უფლებამოსილება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტზე დროული და ეფექტიანი რეაგირების მეთ გარანტიას იძლევა.

21 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს 2018 წლის 21 ივლისის კანონი № 3276.

22 საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანანწესის დამტკიცების შესახებ, მუხლი 6.

23 საქართველოს სახალხო დამცველის 2014-2015 წლების ანგარიშები საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

II. წამებისა და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

სამართალდამცავ სისტემაში არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა დაკავებული პირებისთვის შექმნილი სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიების უზრუნველყოფით არის შესაძლებელი. დაცვის ამგვარი საკანონმდებლო გარანტიებია დაკავების მიზეზებისა და საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიღება, ადვოკატის ხელმისაწვდომობა, სამედიცინო მომსახურების გაწევა, ოჯახის წევრებისათვის/ახლობლებისთვის დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება. ამ უფლებების ჭეშოვანი აღსრულების გარდა, არასათანადო მოპყრობისგან დამცავი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლის მხრიდან პოლიციის დაწესებულებაში მიყვანილი მოქალაქის რეგისტრაციის, მოქალაქესთან კომუნიკაციის დოკუმენტირება (მათ შორის აუდიო/ვიდეოჩანაწერებით).

წინამდებარე თავში გაანალიზებული იქნება საქართველოში ძალის გადამეტების ძირითადი ფაქტორები, ასევე მიმოვიხილავთ საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს, რომელთა საფუძველზეც, შემოგთავაზებთ შესაბამის რეკომენდაციებს.

1. დაკავების დოკუმენტირება

მოქმედი კანონმდებლობა პირის პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნას სხვადასხვა საფუძვლით იცნობს, რაც, ადამიანის უფლებების დაცვისთვის განსხვავებულ პროცედურულ გარანტიებს უკავშირდება. არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების ხელშეწყობი ღონისძიებების მიმოხილვისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია პირის თავისუფლების შეზღუდვის გარემოებების დეტალური აღწერა, დაკავებისა და დაკავების შემდგომი პერიოდის თანმიმდევრული დოკუმენტირება. დაკავების პროცედურებთან და მინიმალური უფლებრივი გარანტიების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში დღემდე არ მოქმედებს ერთიანი სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რაც პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირის უფლებებისა და საჭიროებების თაობაზე ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ და პრაქტიკულ საკითხს მოიცავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, უწყებაში „დაკავების სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შესახებ“ დოკუმენტის შემუშავება მიმდინარე პროცესია²⁴.

მოქმედი კანონმდებლობა პირის დაკავებას დანაშაულის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენას უკავშირებს და შესაბამისად, დაკავების განსხვავებულ პრო-

24 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 7 ოქტომბრის MIA 41902661905 წერილი.

ცედურულ გარანტიებს ითვალისწინებს. სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების საერთო ხანგრძლივობა 72 საათია, რომელიც სამართალდამცავებს პირველი 48 საათის განმავლობაში პირისთვის ბრალდების შესახებ დადგენილების გადაცემას, შემდგომი 24 საათის ვადაში კი - სასამართლოში პირის წარდგენას ავალდებულებს.²⁵ სისხლისსამართლებრივი წესით პირის დაკავებიდან პირველი 48 საათის განმავლობაში დაკავების კანონიერების შეფასების რაიმე შიდა მექანიზმს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. სამართალდამცავი ორგანოს მიერ მოქალაქის ადმინისტრაციული წესით დაკავების საერთო ვადა ხანმოკლეა და ის, როგორც წესი, 12 საათია.²⁶

ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების შემთხვევებში, პირის დაკავებასთან დაკავშირებით დგება ოქმი, რომელშიც დაკავების მიზეზი, ზუსტი დრო, ადგილი, ძალის გამოყენებისა და დაკავებულის დაზიანებების შესახებ ინფორმაცია, ასევე, დაკავების მონაწილეთა შესახებ ცნობები აღინიშნება. ორივე შემთხვევაში, ოქმის შინაარსობრივ მხარეს ოქმის შემდგენი პოლიციელი და დაკავებული ხელმოწერით ადასტურებენ. ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, დაკავების ოქმის ხელმოწერაზე უარი განაცხადოს და დოკუმენტს საკუთარი შენიშვნა დაურთოს.²⁷

ბრალდებულისა და ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის მიმართ, დაკავების ოქმის შედგენა, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დაკავების ადგილზე უნდა მოხდეს. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ამ თვალსაზრისით, მკაფიოდ განსაზღვრავს სამართალდამცავის ვალდებულებას, დაკავების ოქმის, დაკავების-თანავე, დაუყოვნებლივ შედგენის შესახებ, ხოლო დოკუმენტის ადგილზე შედგენის თაობაზე ობიექტური მიზეზის არსებობის შემთხვევაში, დამკავებელს ამ მიზეზების დაკავების ოქმში დეტალურ ასახვას ავალდებულებს და დაკავების ოქმის შევსების შესაძლებლობას პოლიციის დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში ითვალისწინებს²⁸. სისხლის საპროცესო კანონმდებლობისგან განსხვავებით, ადმინისტრაციული წესით პირის დაკავებისას, დაკავების ოქმის ადგილზე შევსების შეუძლებლობის მიზეზები და დაკავებულის პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანის საფუძვლები არ მიეთითება²⁹, რაც, პრაქტიკული გამოცდილებით, ხშირად, დაკავებულის პოლიციის დანაყოფში უსაფუძვლოდ გადაყვანასა და სამართალდამცავთა თვითნებობას იწვევს.

დაკავების ოქმი არცერთ შემთხვევაში არ მოიცავს დამატებით ინფორმაციას დაკავებულის ოჯახის წევრებთან დაკავშირების, მისი გადაადგილების მარშრუტის, გადაყვანის

25 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილი.

26 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლი განსაზღვრავს არასამუშაო დროს დაკავების შემთხვევაში 48 საათით დროებითი მოთავსების იზოლატორში დაყოვნებას.

27 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

28 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლი.

29 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი.

მიზნის თაობაზე. დაკავების ოქმისგან განცალკევებული პროცესუალური დოკუმენტის სახით ივსება ბრალდებულის დაკავების შესახებ ოჯახის შეტყობინების ოქმი, ცალკეულ შემთხვევებში კი, დაკავების ადგილიდან პირის პოლიციის დაწესებულებაში მიყვანასთან დაკავშირებული დეტალები.

ეროვნული კანონმდებლობით, ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით პირის დაკავებასთან დაკავშირებული პროცესუალური დოკუმენტაცია არსებითად ორიენტირებულია დაკავების ეპიზოდსა და დაკავებულის ფიზიკური დაზიანებების საკითხზე. სამართალდამცავი უწყების მიერ დაკავების პირველ საათებში პირის მიმართ განხორციელებული ქმედებების ამსახველი ერთიანი დოკუმენტის არსებობა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

წამების სანინალმდებლო კომიტეტი, არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ერთიანი ყოვლისმომცველი დაკავების ოქმის შედგენას. მისი განმარტებით, დაკავების ოქმი ასევე უნდა მოიცავდეს დეტალებს, მაგალითად, დაკავებული პირის უფლებების განმარტების ზუსტი დროის, დაკავებულის დაშავების ნიშნების, ფსიქიკური დაავადების, ოჯახთან/ახლობელთან და ადვოკატთან დაკავშირების და მონახულების, დაკავებულის საკვებით უზრუნველყოფისა და გამოკითხვის დროის შესახებ.³⁰ დაკავების ოქმში შეტანილი ინფორმაციის მრავალმხრივი შინაარსის თვალსაზრისით, აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკა, რომელიც პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი ნებისმიერი დაკავებულისთვის ითვალისწინებს ყოვლისმომცველი დოკუმენტის წარმოებას. ოქმი მოიცავს დაკავების, ჩხრეკის წარმოების საფუძვლებსა და ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთების აღწერას, დაკავებულისთვის საჭირო კონტროლის დონეს (შესაბამისი შეფასების დონეების მიხედვით), სამედიცინო ანკეტას და კონკრეტულ საკანში განთავსების დროს, სამედიცინო მოსახურებისა და მკურნალობის გეგმას, ძალის გამოყენებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას/დასაბუთებას, დაკავებულის საპროცესო უფლებების ამსახველი სამართლებრივი აქტების დაკავებულისთვის გადაცემის შესახებ ფაქტობრივ მონაცემებს.³¹ დაკავების შესახებ დეტალური ოქმის წარმოებასთან ერთად, საპოლიციო დაკავების სისტემატური და პროაქტიული მონიტორინგისათვის, საერთაშორისო სტანდარტით ასევე მიზანშეწონილია სამართალდამცავ სისტემაში ცალკე აღირიცხებოდეს საპოლიციო დაკავებისას და დაწესებულებებში ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების, დაკავებულებს შორის მომხდარი ძალადობის ან სხვა ინციდენტის, დაკავებულთა მიმართ გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებების, პოლიციის განყოფილებაში შეყვანისა და განყოფილებიდან გამოყვანის ამსახველი ინფორმაცია.³²

30 CPT, ამონარიდი მე-2 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (92) 3], გამოქვეყნებული 1992 წელს, § 40

31 Authorised Professional Practice, Detention and custody, ბელმისანვდომია: <https://bit.ly/2rf9kHK>.

32 APT, საპოლიციო პატიმრობის მონიტორინგი, გვ. 148.

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, დაკავების დოკუმენტირების ეროვნული ინსტრუმენტები, საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, დახვეწას საჭიროებს. მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სამართალდამცავ უწყებაში შემუშავდეს დაკავებისა და დაპატიმრების პროცედურებთან დაკავშირებული ერთიანი სახელმძღვანელო ინსტრუქცია, რომელიც მოქალაქესთან პოლიციელის საწყის ეტაპზე კონტაქტით დაწყებული, ყველა შემდგომ მოქმედებას და მასთან დაკავშირებულ უფლებრივ გარანტიებს თანმიმდევრულად განერდა. გასათვალისწინებელი ასევე დაკავების ყოვლისმომცველი ოქმის წარმოების საუკეთესო პრაქტიკაც, რომელიც პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფ მოქალაქესთან დაკავშირებულ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებს, ისევე როგორც სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და მესამე პირებთან კომუნიკაციის დეტალებს, ერთობლივად ასახავს.

2. ადვოკატთან/ოჯახთან კომუნიკაციის სისტემა

თავისუფლებაშემზღუდული პირისთვის, წვდომა სამართლებრივ დახმარებაზე, უფლებრივი გარანტიებიდან, ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა. კანონმდებლობა ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი დაკავების დროს საქმეში ადვოკატის ჩართულობის წესებს განასხვავებს.

სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების შემთხვევაში, პირი დაუყოვნებლივ ფრთხილდება დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისგან თავის შეკავების, ადვოკატისგან სამართლებრივი დახმარების მიღების უფლებაზე. ბრალდებული უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩიოს ან შეცვალოს ადვოკატი, კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ან მძიმე სოციალური და მატერიალური შესაძლებლობების შემთხვევაში - დაენიშნოს ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.³³ დაკავებიდან სამი საათის განმავლობაში პროკურორი ან მისი დავალებით, გამომძიებელი ვალდებული არიან, დაკავებულის ოჯახს ინფორმაცია მიანოდონ პირის დაკავებასთან დაკავშირებით, რის თაობაზეც, ზუსტი დროის მითითებით დგება შესაბამისი შეტყობინების ოქმი.³⁴

მსგავსი პროცესუალური უფლებები აქვს მინიჭებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის დაკავებულ პირსაც. კერძოდ, ამ შემთხვევაში დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაუყოვნებლივ განუმარტოს დაკავების საფუძველი, უფლება ადვოკატზე და სურვილის შემთხვევაში, დაკავებულს უნდა მიეცეს მისი დაკავების ფაქტისა და ადგილსამყოფელის შესახებ ოჯახის ინფორმირების შესაძლებლობა.³⁵ სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებით დაკავებულის ოჯახთან კომუნიკა-

33 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი.

34 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლი.

35 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი.

ციის თაობაზე, კანონი არ ითვალისწინებს რაიმე პროცესუალური დოკუმენტის შედგენას, რაც, პრაქტიკაში, ამ უფლებით სარგებლობის თვითნებურად შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა.

წლების განმავლობაში, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირისთვის, განსაკუთრებული პრობლემა იყო პოლიციის შენობაში დაყოვნების დროს ადვოკატთან ხელმისაწვდომობა. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან მსგავსი სახის თვითნებობა ბოლო პერიოდში თვალშისაცემი არ ყოფილა, კვლავ კრიტიკას იმსახურებს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირთან სამართალდამცავთა არაფორმალური „შეთანხმებები“ ადვოკატის არიდებით პროცესის შემდგომი გართულებების გარეშე წარმართვისა და არასაპატიმრო სასჯელების გამოყენების თაობაზე.

ადვოკატის ხელმისაწვდომობის პროცედურულ გარანტიასთან დაკავშირებით, პრობლემურია არსებული საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალში დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ასახვას არ ითვალისწინებს. შესაბამისად, რთულია დადგინდეს, საქმის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე წარმართვა დაკავებულის ინდივიდუალური გადაწყვეტილება იყო თუ დამკავებელ პოლიციელთა უკანონო ქმედების შედეგი. პოლიციის ტერიტორიული ორგანოს დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალში დაკავებულთან დაკავშირებით შესატანი ინფორმაცია გრაფების მიხედვით მოიცავს დაკავებულის პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში შეყვანის ზუსტი დროის, დაკავებულის სხეულზე დაზიანებების არსებობისა და დაზიანების წარმოშობის მიზეზის თაობაზე მონაცემებს, ასევე, პოლიციის შენობიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის დროსთან დაკავშირებული დეტალების აღრიცხვას. პრობლემურია, რომ ჟურნალში არსებული მონაცემებით შეუძლებელია დადგინდეს, შესთავაზა თუ არა პოლიციის თანამშრომელმა დაკავებულს ადვოკატთან დაკავშირება, როდის განემართა დაკავებულს ამ უფლების შესახებ და როგორი იყო მისი პოზიცია.

არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ადვოკატის მონაწილეობის გარეშე წარმართვა, ორგანიზაციის პრაქტიკული გამოცდილებითაც, მეტად დამკვიდრებულია, რაც, ადვოკატის მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსური რესურსის პრობლემას და სამართალდარღვევების საქმეთა წარმოების ნაწილში უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის შეზღუდულობასაც უკავშირდება. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების პროცესში სახელმწიფოს უფასო საადვოკატო მომსახურებით სარგებლობა, მოთხოვნის შემთხვევაში, შეუძლიათ გადახდისუუნარო პირებს, რომელთა მიმართაც სახდელის ერთ-ერთ სახედ მოსალოდნელია ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება, საქმეში არ მონაწილეებს მის მიერ აყვანილი ადვოკატი და საქმე განსაკუთრებული სამართლებრივი

მნიშვნელობისაა.³⁶ გადახდისუუნარო, (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირი) თუმცა მძიმე მატერიალური მდგომარეობის მქონე პირების შემთხვევაში, კანონი უფასო იურიდიული დახმარების მიღებას არ ითვალისწინებს. ამ თვალსაზრისით, იურიდიული დახმარების სამსახურის მანდატის გაფართოება, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მიზანშეწონილი იყოს.

აღნიშნულთან ერთად, EMC-ის საქმეთა ანალიზის თანახმად, სხვადასხვა რეგიონში ადმინისტრაციული წესით დაკავებული 16 პირიდან 12-ს, რომელთაც პოლიციის განყოფილებებში ფიზიკურად გაუსწორდნენ, სამართალდამცავებმა ადმინისტრაციული პროცესის ადვოკატის მონაწილეობის გარეშე ჩატარება პროცესის კიდევ უფრო „გართულების“ თავიდან ასაცილებლად „ურჩიეს“. მონყვლად მდგომარეობაში მყოფი დაკავებულებისთვის პოლიციელთა ამგვარი კომუნიკაცია დამატებითი ფსიქოლოგიური წნეხია, რის გამოც, დაკავებულები სამართალდარღვევის პროცესზე პოლიციელთა პოზიციის დადასტურების სტრატეგიას და უადვოკატოდ საქმის სწრაფად განხილვას ირჩევენ. ამავე პირთა ფიზიკურ დაზიანებებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში კი, მათი მხრიდან პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხვის სამართალდარღვევის „აღიარება“, ამ პირთა დაზიანებების წარმოშობაზე საგამოძიებო ორგანოს წინასწარი განწყობისა და დაზარალებულთა მიმართ ერთგვარი უნდობლობის მიზეზი ხდება.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი დაცვის უფლებებზე წვდომასთან დაკავშირებით, ყურადღებას ამახვილებს სამართალდამცავი უწყების მხრიდან ამ უფლების უზრუნველყოფის გარანტიებზე. კომიტეტის განმარტებით, „ადვოკატზე წვდომა“ უნდა ვრცელდებოდეს არა მხოლოდ „ოფიციალურად ეჭვმიტანილებზე“, არამედ ყველა თავისუფლებადაკვეთილ პირზე, მათ შორის, მონწყებსა და ნებისმიერ ადამიანზე, რომელიც ვალდებულია დაესწროს ან/და დარჩეს პოლიციის დაწესებულებაში „საინფორმაციო ხასიათის საუბრისთვის“.³⁷

კომიტეტი ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს, სამართალდამცავებმა დაკავებულებს დაკავების საწყის ეტაპზევე მისცენ შესაძლებლობა, დაკავების თაობაზე შეატყობინონ ახლო ნათესავს ან მესამე პირს. ამავე რეკომენდაციის თანახმად, მესამე პირებთან დაკავებულის სატელეფონო კომუნიკაციის დეტალები - ზუსტი დრო, კომუნიკაციის ადრესატის ვინაობა, პოლიციის თანამშრომელმა დოკუმენტურად უნდა აღრიცხოს და დაკავებულმა ხელმოწერით დაადასტუროს, რაც საპოლიციო სისტემაში თვითნებობის რისკების თავიდან აცილებას ემსახურება. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების თანახმად, დაპატიმრების შესახებ შეტყობინების გაჭიანურება უნდა აღრიცხოს წერილობით, მიეთითოს მიზეზი და დაადასტუროს პოლიციის უფროსმა ოფიცერმა, რომელ-

36 „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

37 წამების საწინააღმდეგო კომიტეტის (CPT) სტანდარტები, ამონარიდი მე-12 საერთო ანგარიშიდან [CPT/Inf (2012) 15], ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680696a88>.

საც კავშირი არ აქვს დაკავებულის კონკრეტულ საქმესთან.³⁸ ნებისმიერ შემთხვევაში, გაჭიანურება არ უნდა აღემატებოდეს 18 საათს.³⁹ დამატებითი რეკომენდაცია ეხება დაპატიმრებული პირისთვის ნებართვის მიცემას, დაკავების შეტყობინებისას ტელეფონით უშუალოდ ესაუბროს ოჯახის წევრებს, პოლიციელის თანდასწრებით, რაც, საერთაშორისო სტანდარტით სამართალდამცავი უწყებისთვის სავალდებულო არ არის, თუმცა კარგ პრაქტიკად მიიჩნევა.⁴⁰

აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართალდამცავ უწყებაში ადვოკატთან და ოჯახთან კომუნიკაციის დეტალების მკაცრი აღრიცხვა, სამართალდარღვევის შემთხვევაში შესაბამისი შეტყობინების დოკუმენტის შედგენის ვალდებულება და უშუალოდ დაკავებულის მიერ ოჯახის წევრებისთვის შეტყობინება, ეროვნულ კანონმდებლობაში არსებული უფლებრივი გარანტიებით სარგებლობისთვის უკეთეს პირობებს შექმნის.

3. პირველადი დახმარება და ღირსეული პირობები

არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით, პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტია, დაკავების შემდგომ ადამიანის საჭიროებებზე მორგებულ გარემოში ყოფნაში მდგომარეობს. სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირს, ხელი უნდა მიუწვდებოდეს სამედიცინო დახმარებაზე, პირველადი მოთხოვნილებების საგნებსა და სივრცეებზე.

დაკავებული პირის პირველადი სამედიცინო შემოწმება, დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანისთანავეა შესაძლებელი. სახალხო დამცველის შეფასებით, პრაქტიკაში ამ თვალსაზრისით არსებულ გამოწვევას, სამედიცინო შემოწმების კონფიდენციალურ გარემოში, იზოლატორის თანამშრომელთა დაუსწრებლად, მხოლოდ ექიმისა და დაკავებულის მონაწილეობით წარმართვა წარმოადგენს⁴¹. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სტანდარტების თანახმად, სამედიცინო შემოწმება უნდა მიმდინარეობდეს სრული კონფიდენციალურობის დაცვით, იზოლატორის თანამშრომელთა დაუსწრებლად, მათი თვალთახედვის არეალს მიღმა.⁴²

არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა ასახავს სამართალდამცავთა წესს, დაკავებული პირის დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე პოლიციის განყოფილებებში გადაყვანის შესახებ, რაც, მეტწილად, დაკავების ოქმის შევსებით აიხსნება. პო-

38 იქვე, § 43.

39 APT, საპოლიციო პატიმრობის მონიტორინგი, გვ. 126.

40 ინიციატივა კონვენცია წამების წინააღმდეგ, გარანტიები საპოლიციო დაკავების პირველ საათებში.

41 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.78.

42 SPT, ანგარიში წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის (SPT) მალდივებზე ვიზიტის შესახებ, §112.

ლიციის დანაყოფები, დროებითი მოთავსების იზოლატორისგან განსხვავებით, არ არის აღჭურვილი ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი წესით დაკავებულთა საპროცესო უფლებების შესახებ ინფორმაციის შემცველი ბუკლეტებით თუ პოსტერებით,⁴³ შესაბამისად, დაკავებულთა მინიმალური უფლებრივი გარანტიების შესახებ ინფორმირების კუთხით, პოლიციის განყოფილებაში ხანგრძლივი დაყოვნების დროს პრობლემები შეიძლება წარმოიშვას.

ამასთან, პოლიციის სამმართველოებში არც ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით არის დაკავებულთა საპროცესო უფლებები და საჭიროებები ადეკვატურად უზრუნველყოფილი. პრაქტიკაში ხშირია დაკავებულთა რამდენიმესაათიანი დაყოვნება პოლიციის განყოფილების საერთო სივრცეში, როდესაც საპროცესო მოქმედებებში მონაწილეობას დამკავებელი პოლიციელ(ებ)ის გარდა, სამართალდამცავი უწყების სხვა წარმომადგენლები ესწრებიან ან უშუალოდ დაკავებულთან ურთიერთობას ამყარებენ. პრაქტიკული გამოცდილებით, პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში განსაკუთრებით გავრცელებულია არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლთან პოლიციელთა მოლაპარაკებების მცდელობები, დაკავებულის მიმართ განხორციელებული ძალადობის თუ სხვა შეურაცხმყოფელი ქმედებების გაცხადებისგან თავის შეკავების შესახებ.

არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ორგანიზაციის წარმომადგენლებში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ პოლიციის დანაყოფში მყოფი 16 მოქალაქედან, ადმინისტრაციული წესით დაკავებული 12 მოქალაქის შემთხვევაში, საპირფარეოთი სარგებლობა, წყლითა და საკვებით უზრუნველყოფა პოლიციის თანამშრომელთა „კეთილ ნებაზე“ იყო დამოკიდებული. ყველა ხსენებულ საქმეში პოლიციის სამმართველოში დაკავებული, საათნახვერიდან სამ საათამდე ხანგრძლივობით ვიდეომეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეში იმყოფებოდა და შესაბამისად, ამ პირებთან პოლიციელთა ურთიერთობის დოკუმენტირება არცერთ შემთხვევაში არ მომხდარა. ერთ-ერთ საქმეში, დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში, დაკავებული მოქალაქე დამკავებელ პოლიციელთან ერთად პოლიციის განყოფილების ეზოში იყო დაყოვნებული. მას, ამ ხნის განმავლობაში, არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დამკავებელმა პოლიციელმა საპირფარეოთი სარგებლობის უფლება არ მისცა, რაც ბუნებრივი მოთხოვნების ადგილზე დაკმაყოფილების მიზნზე გახდა და დაკავებულის დამამცირებელ მდგომარეობაში აღმოჩენა განაპირობა⁴⁴.

პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ ღირსეული პირობების შესაქმნელად, სამართალდამცავებს შესაძლოა დაეკისროთ დაკავებული პირის დაყოვნებული გადწყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში, რაც, პოლიციასა და მოქალაქეს შორის არა-

43 საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

44 ა.დ.-ის საქმე.

ფორმალურ და გარე მეთვალყურეობისგან თავისუფალ სივრცეებში ურთიერთობას შეზღუდავდა.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, „ქვეყნებში, სადაც პოლიციის დაწესებულებებში საკნებია მოწყობილი, მინიმალური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, საპოლიციო პატიმრობაში მყოფი პირებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს სათანადო საპირფარეშო შესაფერისი პირობებით და დაბანის სათანადო საშუალებები. მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფალი წვდომა სასმელ წყალზე და უზრუნველყოფილი იქნენ საკვებით შესაფერის დროს, მათ შორის, სულ ცოტა ერთი სრულყოფილი სადილით (მაგალითად, რაიმე უფრო ნოყიერით, ვიდრე სენდვიჩი) ყოველ დღე. პირებს, რომლებიც საპოლიციო პატიმრობაში რჩებიან 24 საათით ან უფრო ხანგრძლივი დროით, შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ სუფთა ჰაერზე ვარჯიშის საშუალება ყოველ დღე.“⁴⁵ მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შემთხვევაში, პოლიციის დაწესებულებაში დროებითი საპატიმრო საკნები მოწყობილი არ არის, როდესაც პირს პოლიციის დანაყოფებში აყოვნებენ, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირების პირველადი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი პირობები.

4. დაკავებული პირის დაყოვნება პოლიციის მანქანაში ან განყოფილებაში

მოქალაქის პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად ზრდის პირზე ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ზემოქმედებისა და ძალადობის რისკებს. დაკავების შემდგომ მოქალაქის უფლებების დაცვის გარანტიების აუცილებელი სტანდარტით უზრუნველყოფილ გარემოში ყოფნა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთან კონსტრუქციული კომუნიკაციის ერთგვარი წინაპირობაა. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული პრაქტიკაც აჩვენებს, რომ დაკავებულ პირზე სამართალდამცავთა ფიზიკური თუ სიტყვიერი ძალადობის მაღალი რისკი, ვიდევოკამერებისა და ნეიტრალური მოწმეებისგან თავისუფალ გარემოში - პოლიციის დაწესებულებებში ან მათსავე მანქანებში, დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებამდე წარმოიშობა.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით პრობლემურია არსებული კანონმდებლობა, რომელიც არ იცნობს პოლიციის მუშაკის ვალდებულებას, დაკავებული პირის დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის თაობაზე, სადაც, დაკავებულის პროცედურული უფლებების უზრუნველყოფის, სამედიცინო შემოწმების, დაწესებულების ტექნიკური აღჭურვილობის თვალსაზრისით, არსებითად უკეთესი პირობებია. შესაბამისად,

45 SPT, ანგარიში წამების საწინააღმდეგო ქვეკომიტეტის (SPT) მალდივებზე ვიზიტის შესახებ, §§112, 47.

დროებითი მოთავსების იზოლატორში დაკავებულის პირდაპირი მიყვანა არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი შეიძლება იყოს.⁴⁶

კანონი, დამკავებელ მოხელეს, როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს, პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცავ ორგანოში მიყვანას ავალდებულებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელი არ არის ვალდებული, დაკავების ადგილიდან თავისუფლებაშეზღუდული პირი დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანოს. დაკავების შემდგომ პოლიციის დაწესებულებაში მიყვანის საფუძვლად, სამართალდამცავები უმეტესწილად დაკავების ოქმის პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში შევსებაზე უთითებენ, რაც, მართალია, სისხლისსამართლებრივი თუ ადმინისტრაციული წესით დაკავებისას, ობიექტური გარემოებების არსებობის დროს დასაშვებია,⁴⁷ თუმცა პრაქტიკაში ამ საფუძველზე მითითება, როგორც წესი, შაბლონურად, შესაბამისი დასაბუთების გარეშე ხდება. ამასთან, დაკავებული პირის პოლიციის დანაყოფში გადაყვანის ნაცვლად, დაკავების ოქმის შევსება დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანის ეტაპზეც შესაძლებელია.

დაკავებული პირის დაუყოვნებლივ დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაყვანის ხელშემშლელი ფაქტორია ისიც, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორის შინაგანაწესი დაკავებულის მიღების წინაპირობად, დაკავების ოქმის გარდა, უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლის წერილობითი მიმართვის წარდგენას ითვალისწინებს. მიმართვაში აღინიშნება მოსათავსებელი პირის პირადი მონაცემები, პირის დაკავების საფუძველი, მოთხოვნა მისი იზოლატორში მოთავსების თაობაზე, ინფორმაცია დამკავებელი ორგანოს იმ თანამშრომლების შესახებ, რომლებიც განახორციელებენ აღნიშნული პირის იზოლატორში ბადრაგირებას.⁴⁸ ამ წესით გათვალისწინებული წერილობით მიმართვის გარეშე დაკავებულ პირს დროებითი მოთავსების იზოლატორში არ ათავსებენ, რაც, პირის დაკავების შემდგომ, მიმართვის მისაღებად პოლიციის დაწესებულებაში გადაყვანას იწვევს.

პრობლემაა ისიც, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მიყვანამდე, დაკავებული პირის პოლიციის დაწესებულებაში დაყოვნების მაქსიმალური დრო განსაზღვრული არ არის. ამგვარი საკანონმდებლო მოწესრიგება სამართალდამცავების მხრიდან პრაქტიკაში ბოროტად სარგებლობის საგანი ხდება, რაც არასათანადო მოპყრობის საქმეთა ანალიზითაც დასტურდება. სამართალდამცავთა მიერ დაკავებულთა პოლიციის დანაყოფში, სამართალდამცავთა ავტომანქანაში დაკავების ოქმის შედგენის მიზებით

46 სახალხო დამცველის რეკომენდაცია, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიშში.

47 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის პირველი ნაწილი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლი.

48 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 8 ნოემბრის MIA 61902998517 წერილი.

დაყოვნებისა და ამ სივრცეებში დაკავებულის მიმართ ძალადობის პრაქტიკა თვალსაჩინოა ორგანიზაციის სისხლის სამართლის საქმეებში არსებულ საქმეებშიც. აქედან გამომდინარე, დაკავებულ პირთა პოლიციის დანესებულებაში გადაყვანის საფუძვლებთან და ტერიტორიაზე დაყოვნების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული საკითხები ცხადად საჭიროებს მოწესრიგებას.

აღსანიშნავია, რომ დაკავებულის პოლიციის დანესებულებაში მიყვანის დროს, ტერიტორიული საპოლიციო ორგანოები აწარმოებენ „შინაგან საქმეთა ორგანოებში დაკავებულ პირთა აღრიცხვის წიგნს“ და „საპყრობილეთა (დროებითი მოთავსების იზოლატორში) გადაყვანილ პირთა აღრიცხვის ჟურნალს“, რომელშიც შენობაში მიყვანილ დაკავებულთა ვინაობა, დაზიანების არსებობა და მისი გამომწვევი მიზეზი, პოლიციის დანესებულებაში მიყვანისა და დანესებულებიდან დროებითი მოთავსების იზოლატორში მოსათავსებლად შენობის დატოვების დროები აღირიცხება⁴⁹. მოქმედი წესით, აღნიშნული პროცედურით აღირიცხება მხოლოდ დაკავებულის სტატუსით პოლიციის დანესებულებაში მიყვანილ პირებთან დაკავშირებული მონაცემები, თუმცა არ მოიცავს პოლიციისა და მოქალაქეს შორის სხვაგვარი ურთიერთობის დოკუმენტირებას, მაგალითად, როგორცაა მოწმის, გამოსაკითხი პირის პოლიციის დანაყოფში მისვლა. გარდა ამისა, დაკავებულთან დაკავშირებული მონაცემების სრულყოფილ შევსებაზე პასუხისმგებლობა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული ორგანოების სამორიგოს მორიგეს ეკისრება, რომლის საქმიანობის ხარისხიანი შესრულების ზოგადი კონტროლი სამორიგოს ხელმძღვანელის ვალდებულებაა.⁵⁰ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიულ ორგანოში დაკავებულთა აღრიცხვის წიგნებში დაკავებულთან დაკავშირებული მონაცემების სიზუსტესა და სისწორეზე კონტროლი კონკრეტულ საპოლიციო დანაყოფს არ სცდება, რაც, დაინტერესების შემთხვევაში, მართივად იძლევა სამართალდამცავთა მხრიდან მანიპულაციის საშუალებას.

არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზმა აჩვენა, რომ დაკავებულთა აღრიცხვის ჟურნალის ჩანაწერების მიხედვით, პოლიციის დანესებულებაში დაკავებულთა გაჩერებამ თითოეულ შემთხვევაში, საშუალოდ ორიდან სამ საათამდე გასტანა. იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციის დანესებულებაში დაკავებულები არ გამოუკითხავთ/ახსნა-განმარტება არ ჩამოურთმევიათ და გადაყვანა მხოლოდ ადმინისტრაციული დაკავების ოქმის შევსებას ემსახურებოდა, რომელიც სულ რამდენიმე გრაფისგან შედგება, პოლიციის შენობაში დაკავებულის დაყოვნებისთვის გამოყენებული დროის ეს ხანგრძლივობა არაგონივრულია იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაკავებულის პოლიციის დანაყოფში მიყვანის რეალური მიზეზი დაკავების ოქმის შედგენა და არა მასზე რაიმე უკანონო ზეგავლენის მოხდენა იყო.

49 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამორიგო ფუნქციის განმახორციელებელი დანაყოფების მუშაობის ორგანიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 8 აგვისტოს №605 ბრძანებით დამტკიცებული №6 და №7 დანართები.

50 იქვე, მუხლი 4.

დაპატიმრების ადგილიდან პოლიციის განყოფილებაში დაკავებულის გადაყვანის დროს, როდესაც პირი პოლიციელების პირისპირ, რაიმე ზედამხედველობის გარეშე იმყოფება, სამართალდამცავთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის რისკზე დაკავებისთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებშიც მიეთითება.⁵¹ ამგვარი რისკის შესამცირებლად, სამართალდამცავ ორგანოებს ევალებათ, ყოველი გადაყვანის დღე და საათი აღრიცხონ და შეიტანონ დაპატიმრებული პირის დაკავების ოქმში.⁵² თავისუფლებაშეზღუდული პირის გადაყვანა არ შეიძლება ატარებდეს სასჯელის სახეს.⁵³ ამასთან, დაკავებულის გადაყვანის დროს გაქცევის თავიდან ასაცილებლად, სიფრთხილის ზომის სახით ნებადართულია შებორკვის საშუალებების (ხელბორკილების) გამოყენება, თუმცა დაუშვებელია აღჭურვილობის ტკივილის მისაყენებლად გამოყენება. ისინი ამგვარი რისკების აღმოფხვრისთანავე უნდა მოიხსნას.⁵⁴ სავალდებულო ხასიათის საერთაშორისო სტანდარტის არარსებობის მიუხედავად, წამების პრევენციის ასოციაცია და ციხის საერთაშორისო რეფორმა სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგ ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პოლიციის ავტომანქანებში ვიდეოგადაღების წარმოებას.⁵⁵

აღნიშნულ სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის მისასადაგებლად, რეკომენდირებულია პოლიციის დაწესებულებაში დაკავებულის უსაფუძვლო დაყოვნების აღკვეთა, დაწესებულებაში მიყვანის შემთხვევაში კი, შესაბამისი საფუძვლისა და დაყოვნების ხანგრძლივობის საჭიროების წერილობითი დოკუმენტირება. ამასთან, არსებული პრაქტიკის მხედველობაში მიღებით, მიზანშეწონილია, კანონმდებლობით განისაზღვროს უპირატესად დაკავების შემდეგ პირის დაუყოვნებლივ მიყვანა დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც უფლებრივი დაცვა შედარებით მაღალი ხარისხით არის უზრუნველყოფილი.

4.1 პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფი პირის გამოკითხვა

სამართალდამცავ უწყებაში მოქალაქის გამოკითხვის პერიოდში არასათანადო მოპყრობის რისკები განსაკუთრებით მაღალია. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს პოლიციის დაწესებულებაში გამოსაკითხ პირზე ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ძალადობის ჩადენის თავიდან აცილების შესაძლო ინსტრუმენტებზე.

51 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (მანდელას წესები) და გაეროს პრინციპთა ერთობლიობა ნებისმიერი ფორმით დაკავებული ან პატიმრობაში მყოფი ყველა პირის დაცვის შესახებ (პრინციპთა ერთობლიობა).

52 მანდელას წესები, წესი 7.

53 წამების პრევენციის ასოციაცია (APT). „საპოლიციო პატიმრობის მონიტორინგი - პრაქტიკული სახელმძღვანელო“ (2013), გვ.116.

54 იქვე, 47-48.

55 ციხის საერთაშორისო რეფორმა | ვიდეოგადაღება საპოლიციო საპატიმროებში: რისკის ფაქტორების განდევნვა წამებისა და სასტიკი მოპყრობის პრევენციის მიზნით, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KLDk9C>, გვ.1.

გამოძიების ფარგლებში პოლიციის დანაყოფში პირის გამოკითხვა ნებაყოფლობითია. მას განემარტება საკუთარი ხარჯით ადვოკატის მონაწილეობის, ინფორმაციის ნებაყოფლობით მიწოდებისა და ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დავისრების შესახებ. საგამოძიებო ორგანოსთვის ჩვენების მიცემის ვალდებულება მონმის სახით, მხოლოდ სასამართლოს წინაშე წარმოიშობა.⁵⁶ გამოკითხვის დროს ხმის ან გამოსახულების ჩამწერი ტექნიკური საშუალების გამოყენებაზე გადაწყვეტილებას საგამოძიებო ორგანო იღებს, რის თაობაზეც გამოსაკითხი პირი წინასწარ ფრთხილდება.⁵⁷

„პოლიციის შესახებ“ და „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონები ასევე ითვალისწინებს პოლიციის დანესებულებაში პირის მონწვევისა და გამოკითხვის ღონისძიებებს. ორი სხვადასხვა კანონით გათვალისწინებული ხსენებული საპოლიციო ინსტრუმენტები იდენტური შინაარსისაა. ორივე დებულების მიზანი პირთან გასაუბრების მიზნით პოლიციაში პირის შეტყობინებით მონწვევაა, თუ პოლიციის თანამშრომელი ვარაუდობს, რომ მოქალაქე საპოლიციო ფუნქციების შესასრულებლად საჭირო ინფორმაციას ფლობს. საპოლიციო ღონისძიების სახით პირის მონწვევის დროს, პოლიციის დანესებულებაში მოქალაქის დაყოვნების დრო 4 საათს არ უნდა აღემატებოდეს. ამასთან, მონწვეულ პირს უნდა განემარტოს პოლიციაში გამოცხადებისა და საპოლიციო დანაყოფის დატოვების ნებაყოფლობითობის შესახებ.⁵⁸

ოპერატიული საქმიანობის ფარგლებში, პირთან ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის გასაუბრების მიზანი კონკრეტული შემთხვევისა თუ პიროვნებების შესახებ ინფორმაციის მიღებაა. ასეთ შემთხვევაში, გამოკითხვა ნებაყოფლობითია და გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისთვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ოპერატიულ მუშაკს ან გამომძიებელს გამოკითხვის შესახებ პატაკის შედგენა ევალება, რომლის შინაარსის გაცნობაც, გამოკითხულ პირს არ შეუძლია. ოპერატიული საქმიანობის კონსპირაციული ხასიათის, უფლებრივი გარანტიების არარსებობისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ოპერატიული საქმიანობის განმახორციელებელ პირს თავის წარდგენაც კი არ ევალება მოქალაქის წინაშე, არსებობს რისკი, რომ მოქალაქემ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მომავალში მის საწინააღმდეგოდ, თვითინკრიმინაციის პრინციპის უგულებელყოფით იქნება გამოყენებული.

პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ მყოფი პირისთვის უფლებრივი გარანტიების შექმნაზე საუბრისას, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პრაქტიკაში სწორედ ოპერატიული და საპოლიციო ღონისძიებების რეპრესიულ ინსტრუმენტად გამოყენება. მოქალაქის

56 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილი.

57 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

58 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლი.

ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი წესით დაკავების დროს განსაზღვრული მინიმალური უფლებრივი გარანტიებისგან განსხვავებით, პოლიციის დაწესებულებაში საპოლიციო თუ ოპერატიული ღონისძიების ფარგლებში პირის დაბარებისას ხშირია შემთხვევა, როდესაც პირს პოლიციის დაწესებულებაში გამოცხადებისა და ინფორმაციის მიწოდების ნებაყოფლობითობის შესახებ არ აფრთხილებენ და მასთან გასაუბრება ამავე პირის მიმართ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაზე ეჭვს უკავშირდება.⁵⁹ ამასთან, პროცესუალური მექანიზმების არარსებობის გამო, რთულია მოქალაქისა და სამართალდამცავის კომუნიკაციის შინაარსობრივი და სხვა ასპექტების დადგენა. მაგალითისთვის, დაკავების დროს პოლიციის ტერიტორიულ ორგანოში სპეციალური ჟურნალის წარმოების წესი არ ვრცელდება საპოლიციო ანდა ოპერატიული ღონისძიების საფუძველზე მოქალაქესთან კონტაქტზე. არ აღირიცხება პირის შენობაში შესვლისა და გაყვანის დროები, არ მოწმდება მოქალაქის სხეულზე დაზიანებების არსებობა პოლიციის დაწესებულებაში მისვლისა და დატოვების შემდგომ, ოპერატიული ღონისძიების ფარგლებში მოწვევის დროს არ არის განსაზღვრული პირის შენობაში დაყოვნების დრო და რაიმე დოკუმენტაციის გაფორმების შესახებ პოლიციის ვალდებულება.

ადამიანის უფლებების დამცავი მინიმალური საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობის გამო, ხსენებული დებულებების გამოყენება არასათანადო მოპყრობის საქმეებში განსაკუთრებით თვალშისაცემია პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში. EMC-ის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ საქმეში, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქეთა მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები სწორედ ოპერატიული საქმიანობის ფარგლებში განხორციელდა. ოპერატიული გამოკითხვის მიზნით პოლიციის დაწესებულებაში მიყვანილი ორი მოქალაქიდან ერთ-ერთმა, მოგვიანებით, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, მეორემ კი - პოლიციის მიერ მისი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებზე მიუთითა. არასათანადო მოპყრობის ხსენებულ შემთხვევაზე დაწყებული გამოძიების პროცესში, პოლიციელთა მხრიდან ოპერატიული ღონისძიების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებების ამსახველი დოკუმენტაცია,⁶⁰ საგამოძიებო ორგანოს ფაქტიდან 2 წლის შემდეგაც არ მოუპოვებია.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პოლიციის დაწესებულებაში მოქალაქის სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით გამოკითხვის განხილული ღონისძიებები არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მინიმალურ საკანონმდებლო გარანტიებსაც არ ითვალისწინებს.

პოლიციის დაწესებულებაში გამოკითხვასთან დაკავშირებით, საერთაშორისო სტანდარტებში, მათ შორის, წამების საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის მიერ

59 ორგანიზაციის დაცვის ქვეშ მყოფი სამი პირის მიმართ გამოვლინდა ასეთი შემთხვევა.

60 პატაკი, ფორმა №12, რაც გამოსაკითხი პირების პირადი ინფორმაციისა და ნაცნობების წრის დადგენას ემსახურებოდა.

მოქალაქის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზენოლის მაღალი რისკებიდან გამომდინარე, ყურადღება გამახვილებულია წამებისა და სასტიკი მოპყრობის აკრძალვის ინსტრუმენტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებაზე.⁶¹ პროცესუალური თვალსაზრისით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია გამოკითხვამდე პირის სტატუსისა და უფლებების შესახებ ზუსტი და უტყუარი ინფორმაციის მიწოდება. დაუშვებელია უფლებამოსილი ორგანოების მიერ პირთან „საინფორმაციო ხასიათის საუბარი“, იმ სამართლებრივი გარანტიების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ეჭვმიტანილის გამოკითხვას ახლავს თან. ნებისმიერი პირი, რომელსაც აკისრია სამართლებრივი ვალდებულება, დაესწროს ან დარჩეს გამოკითხვის დაწესებულებაში, უნდა სარგებლობდეს იმავე უფლებებით, რომლითაც ეჭვმიტანილი სარგებლობს.⁶² გამოკითხვის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, მკაცრი ეროვნული რეგულაციებით უნდა წესრიგდებოდეს, რომ დაკავებული პირი არ დაეჭვმდებაროს გამოკითხვას ორ საათზე ხანგრძლივი დროით, შეუსვენებლად და უზრუნველყოფილი იყოს სათანადო შესვენებებით, ხოლო ყოველ 24 საათში მიეცეს სულ მცირე, რვა საათიანი უწყვეტი ინტერვალი, რომელიც თავისუფალი იქნება გამოკითხვასა და გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა რაიმე ქმედებისაგან.⁶³

პოლიციის დაწესებულებაში პირის გამოკითხვის დროს არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად, გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში გამოკითხვის უწყვეტ აუდიო-ვიდეო გადაღებას და ჩანაწერების უსაფრთხოდ შენახვას ასახელებს. ანგარიშში გამოკითხვის მთლიანად ჩანერისთვის სამართალდამცავი უწყების „ყოველგვარი გონივრული მცდელობის“ გამოყენებას ითხოვს. ობიექტური გარემოებებით აუდიო ან ვიზუალური გადაღების შეუძლებლობის დროს, ან, თუ გამოსაკითხი პირი უარს ამბობს გადაღებაზე, ამის შესახებ წერილობით უნდა აღინიშნებოდეს. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ეჭვმიტანილის გამოკითხვის დროს, მინიმუმ აუდიო-ჩანაწერის წარმოებას აუცილებლად მიიჩნევს. შეზღუდული ფინანსური რესურსების შემთხვევაში, ვიდეოგადაღება, უპირატესად ეჭვმიტანილთა, დაუცველ დაზარალებულთა მიმართ უნდა გამოიყენებოდეს.⁶⁴

მოქალაქესთან საგამოძიებო თუ საპოლიციო ღონისძიების სახით გამოკითხვების დროს, არასათანადო მოპყრობის რისკის მინიმუმამდე დასაცვანად და კარგი პრაქტიკის დასანერგად, მნიშვნელოვანი იქნება სამართალდამცავ სისტემაში გამოკითხვების უწყვეტად აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის პრაქტიკის დამკვირდება. ამასთან, საპოლიციო და

61 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, (A/71/298) 2016

62 იქვე, § 67.

63 იქვე, §§ 85-89.

64 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში, (A/71/298) 2016.

ოპერატიული წესით გამოკითხვის დროს მნიშვნელოვანია გამოსაკითხი პირის საპოლიციო დანესებულებაში ვიზიტის დეტალების აღრიცხვა.

5. პოლიციელის და მოქალაქის ურთიერთობის კომუნიკაციის ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტირება

მოქმედი კანონმდებლობით, მოქალაქისა და პოლიციელის ურთიერთობა საგამოძიებო, საპოლიციო ან ოპერატიულ ღონისძიებას შეიძლება დაეფუძნოს. ამ მიზნებით, სამსახურებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე, მოქალაქესთან ინტენსიური ურთიერთობა აქვთ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს, მართლწესრიგის ოფიცრებს, ასევე ცენტრალური კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებსა და სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებს მიკუთვნებულ პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს.⁶⁵ მოქალაქესთან პოლიციის ურთიერთობისას ინციდენტის წარმოშობის შემთხვევაში, მთავარი გამოწვევა მომხდარის თაობაზე ნეიტრალური მოწმის თუ მტკიცებულების მოპოვებაა.

EMC-ის წარმოებაში არსებული არასათანადო მოპყრობის საქმეების ანალიზი აჩვენებს, რომ მოქალაქეზე ძალადობისა და მის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევაში, საგამოძიებო ორგანოს, ერთი მხრივ, პოლიციის თანამშრომლის მიწოდებული ინფორმაცია, მეორე მხრივ კი, მომხდარის შესახებ მოქალაქის სრულიად საპირისპირო პოზიცია აქვს. მოქალაქის დაზიანებების წარმოშობის შესახებ სხვა მტკიცებულების მოპოვება, როგორც ნეიტრალური მოწმის ჩვენება ან ვიდეოკამერის ჩანაწერია, უმეტესწილად ვერ ხერხდება. ამ თვალსაზრისით, არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა მოქალაქესთან პოლიციის კომუნიკაციის დოკუმენტირებას ტექნიკური საშუალებით, მათ შორის - აუდიო/ვიდეო გადაღების მეშვეობით, ენიჭება.

5.1 სამხრე კამერებით ვიდეოგადაღება

შინაგან საქმეთა სამინისტრო არ განსაზღვრავს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლებისთვის მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღებით აღბეჭდვის ვალდებულებას. მოქალაქესთან პოლიციის ურთიერთობის სამხრე ვიდეოკამერით აღბეჭდვის თაობაზე საგამონაკლისო წესს ადგენს მხოლოდ სპეციალური საპოლიციო კონტროლის, ე.წ. რეიდის ჩატარებისას, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მოქალაქესთან სხვა ნებისმიერი სახის კონტაქტი საპოლიციო, ოპერატიული თუ სა-

65 საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულება.

გამოძიებო მოქმედების განხორციელების დროს, ტექნიკური საშუალების გამოყენების გვერდის ავლით დაიშვება.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის მიზნით, საქმის ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოსაკვლევად, საპატრულო პოლიციის სამსახურის თანამშრომელს, პატრულირების ფარგლებში აქვს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ვიდეო-აუდიოგადაღების უფლებამოსილება. საპატრულო პოლიციის წარმომადგენლები ალჭურვილნი არიან სამხრე ვიდეოკამერებით, რომელთა მეშვეობით ვიდეოგადაღება 12 საათის განმავლობაში უწყვეტად არის შესაძლებელი, სამხრე კამერაზე გადაღებულ ვიდეოგამოსახულებაზე დატანილია გადაღების თარიღი და დრო.⁶⁶ დებულებაში გასულ წელს შესული ცვლილებით დაიხვეწა პატრულირების დროს სამხრე ვიდეოკამერით მოპოვებული მონაცემის შენახვის წესი და პატრულ-ინსპექტორს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული სამხრე ვიდეოკამერის მეშვეობით მოპოვებული მონაცემის სპეციალურ სერვერზე 30 დღის ვადით შენახვის ვალდებულება დაეკისრა.⁶⁷

პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, ვიდეოგადაღების არასავალდებულო წესი კვლავაც უცვლელად მოქმედებს. ამ რეგულაციის დისკრეციული შინაარსი პრობლემურია პრაქტიკაში, ვინაიდან მოქალაქის დაჟინებული მოთხოვნის შემთხვევაშიც კი, პატრულ-ინსპექტორი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულების დროს სამხრე ვიდეოკამერის ჩართვას საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს. ამ კუთხით, გასათვალისწინებელი შეიძლება იყოს გაერთიანებული სამეფოს, კერძოდ კი, ჩრდილოეთ ირლანდიის გამოცდილება, რომელიც სამართალდამცავებს სხეულზე ან ავტომობილის ბორტზე დასამაგრებელი კამერის ტარებას არ ავალდებულებს, თუმცა პოლიციის ოლქების უმეტესობა მას გარკვეულ ვითარებაში იყენებს. კერძოდ, სამხრე კამერების თვითნებურად გამორთვის თუ გადაცდომის გადაღების თავიდან ასარიდებლად, კამერებს გააჩნიათ ჩაშენებული სისტემა, რომელიც ამ ტექნიკური საშუალების ჩართვისა და გამორთვის თარიღსა და დროს იმახსოვრებს.⁶⁸

საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ სამხრე ვიდეოკამერების გამოყენების უფლებამოსილების გარდა, კანონმდებლობა არც სხვა საპოლიციო ძალების (ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების თუ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს თანამშრომელთა) მიერ ტექნიკური საშუალების გამოყენების თაობაზე ჩანაწერებს იცნობს. სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთათვის, ძალადობის-

66 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის MIA 51902888374 წერილი.

67 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 15 დეკემბრის ბრძანება №1310, მუხლი 12'.

68 უნგრეთის ჰელსინკის კომიტეტი, „ევროპაში პოლიციის არასათანადო მოპყრობის გამოძიება“, შედარებითი კვლევა ევროკავშირის 7 ქვეყანაში, 2017, გვ. 118.

გან თავის შეკავების ამ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის არარსებობა პრაქტიკაში მეტად პრობლემურია, ვინაიდან კრიმინალური პოლიციის თუ ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლებს მოქალაქეებთან ყოველდღიური ინტენსიური ურთიერთობა აქვთ. მაგალითისთვის, EMC-ის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეებიდან, არასათანადო მოპყრობის თაობაზე გამოძიება, ყველა შემთხვევაში სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დანაყოფებში შემაჯავლი დეტექტივებისა თუ უბნის ინსპექტორების მიმართ მიმდინარეობს.

ტექნიკური საშუალებით არ არის აღჭურვილი არც სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტების, სამმართველოებისა და განყოფილებების სარგებლობაში გადაცემული ავტომანქანები,⁶⁹ რის გამოც, მოქალაქესა და პოლიციის თანამშრომელს შორის ურთიერთობის დოკუმენტირება არ ხდება და ეს, არასათანადო მოპყრობის საქმეთა გამოძიების პროცესში, პრაქტიკული გამოცდილებითაც, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის დიდ სირთულეს წარმოშობს.

საერთაშორისო სტანდარტით არ არის დადგენილი სამართალდამცავთა მხრიდან სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულება. ამის მიუხედავად, სამხრე კამერების უპირატესობად მიიჩნევა შემთხვევებითი ფაქტორები, საჩივრებისა და სისხლისსამართლებრივი პროცესების მოქნილი გადანაცვება, ასევე, სამართალდამცავ სისტემაში გაუმჭობრებული ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების რისკად კი პირად ცხოვრებაში ჩარევა (განსაკუთრებით, კამერების კერძო საცხოვრებლებში გამოყენებისას) და საპოლიციო უწყებაში დიდი მოცულობით მონაცემების შენახვის, წვდომის და განადგურების საკითხები სახელდება.⁷⁰

სამხრე კამერების გამოყენების რეგულირების შესახებ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების არარსებობის გამო, საინტერესოა ცალკეულ სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა. შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტმა შეიმუშავა სამხრე კამერების გამოყენების რეკომენდაციები.⁷¹ დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს პოლიციის უწყებებში სამხრე კამერების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ერთიანი პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობაზე, რომელიც განსაზღვრავს ისეთ საკითხებს, როგორცაა სამხრე კამერით გადაღების უფლებამოსილების მქონე სამართალდამცავთა წრე, ადგილი, ტექნიკური საშუალების ჩართვის და გამორთვის წესები. დოკუმენტი ასევე მოიცავს მონაცემთა შენახვის შესახებ რეგულაციებს. რეკომენდაციების თანახმად, არასაკმარისი რესურსების პირობებში, სამხრე კამერების

69 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის MIA 51902888374 წერილი.

70 სასამართლოს გარეშე, გამარტივებული და საარბიტრაჟო აღსრულებების საკითხებზე სპეციალური მომსახურების ანგარიში, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სიცოცხლის უფლების უზრუნველსაყოფად, A/HRC/29/37, §§ 55-57, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3381Xij>.

71 აშშ, იუსტიციის დეპარტამენტი, სამხრე პორტატული კამერის პროგრამის განხორციელება: რეკომენდაციები და მიღებული გამოცდილება გვ. 37-46, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/349D6vW>.

ტარების უპირატესობა საგზაო და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს უნდა მიენიჭოთ. პოლიციელებს სამხრე კამერების ჩართვა მოეთხოვებათ ყველა გამოძახებაზე რეაგირებისა და მართლწესრიგთან დაკავშირებული დაპირისპირების დროს, ინციდენტის ამონურვამდე, ან ზედამხედველის მიერ გადაღების შეწყვეტაზე განკარგულების გაცემამდე. პოლიციელს ამავე დოკუმენტით უნდა ევალებოდეს მოქალაქის ინფორმირება გადაღებასთან დაკავშირებით. პოლიციელთა მიერ მოპოვებული ვიდეოჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია სამხრე კამერებიდან მონაცემების ჩამოტვირთვა ყოველი ცვლის ბოლოს, ვიდეოჩანაწერების კლასიფიკაცია კადრებზე აღბეჭდილი შემთხვევის/ინციდენტის ტიპების მიხედვით და შემუშავებული პოლიტიკის ფარგლებში მონაცემთა გარკვეული ხანგრძლივობით (60-90 დღე) შენახვა, ასევე, ჩანაწერების გადახედვა პერიოდულად უწყების შიდა ზედამხედველობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, პოლიციელის მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებლად.

სამხრე კამერებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის ხსენებული მიდგომების ქართულ საპოლიციო პრაქტიკაში ასახვა არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებისა და ამგვარ დანაშაულებზე რეაგირების ქმედით გარანტიებს შექმნის. განსაკუთრებით საჭიროა სამხრე კამერების გამოყენების არასავალდებულო ხასიათის შეცვლა. მოქალაქესთან კონტაქტის ინტენსივობის გათვალისწინებით, ასევე მნიშვნელოვანია საპატრულო პოლიციის გარდა, სხვა საპოლიციო დანაყოფების ეტაპობრივი აღჭურვა ამ ტექნიკური საშუალებით, ისევე, როგორც მოპოვებული მონაცემების შენახვის ერთიანი სტანდარტის შემუშავება.

5.2 მობილური ტელეფონის გამოყენება

არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიებაში ასევე იკვეთება მოქალაქისა და პოლიციელის კომუნიკაციის მობილური ტელეფონით აღბეჭდვის შემთხვევები. აღნიშნულ ტექნიკურ მონყობილობას პრაქტიკაში საპოლიციო ურთიერთობის ორივე მხარე (როგორც პოლიციელი, ისე მოქალაქე) აქტიურად იყენებს.

პოლიციის თანამშრომლების მიერ პირადი მობილური ტელეფონით უფლებამოსილების აღსრულების პროცესის გადაღების უფლება, მონაცემთა შემდგომი შენახვისა და გამოყენების წესები კანონისა და კანონქვემდებარე აქტის დონეზე მონესრიგებული არ არის. შესაბამისად, სამსახურებრივი უფლებამოსილების აღსრულებისას პოლიციელის პირადი მობილურით ვიდეოგადაღება კონკრეტულ სიტუაციაში ამ ბერკეტის შერჩევითად გამოყენების რისკებს წარმოშობს. პოლიციელის პირადი მობილური ტელეფონით მოქალაქის სასარგებლო ინფორმაციის ასახვის შემთხვევაშიც კი, არ არსებობს სამართალდამცავის მიერ მოპოვებული მონაცემების კეთილსინდისიერი გამოყენების/მოქალაქისთვის გადაცემის სამართლებრივი გარანტია. ამგვარი მონაცემის შენახვის, გავ-

რცელების, თუ წაშლის სახით უკონტროლო განკარგვის გადაწყვეტილებასაც, ერთპიროვნულად მისი მომპოვებელი იღებს. საგულისხმოა, რომ ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის ერთ-ერთ საქმეში,⁷² პოლიციის თანამშრომელმა მისი კონტროლის ქვეშ მყოფ მოქალაქესთან კომუნიკაცია პირადი მობილური ტელეფონით აღბეჭდა, თუმცა მოგვიანებით, მანვე, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში არ ისურვა ამ ჩანაწერის გამოძიებისთვის წარდგენა და მისი შემთხვევით წაშლის თაობაზე მიუთითა. მეორე საქმეში კი, მობილური ტელეფონით გადაღებული კადრები ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთან მომხდარი ინციდენტის შემდგომ, შერჩევითად და ეპიზოდურად იყო გადაღებული, მოგვიანებით კი, დაკავებულის დისკრედიტაციის მიზნით, საჯაროდ გავრცელებული.⁷³

მოქალაქის მხრივ, საკუთარი მობილური ტელეფონით პოლიციელთან კონტაქტის გადასაღებად გამოყენება იმაზე და მოკიდებული, რამდენად მისცემს სამართალდამცავი მას ამის ფაქტობრივ შესაძლებლობას და ეს საკითხიც, ნორმატიულად მოწესრიგებული არ არის. მოქალაქეების მიერ პოლიციის ქმედების ვიდეოგადაღებასთან დაკავშირებით, კარგი პრაქტიკის მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ჩრდილოეთ ირლანდია, რომელიც სამართალდამცავ სისტემაში აუდიო-ვიზუალური სისტემის დანერგვას განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. პოლიციელს არ აქვს უფლება, მოქალაქეს შეაწყვეტინოს სამართალდამცავის ქმედების ვიდეოგადაღება ან წაშალოს ჩანაწერი.⁷⁴ ჩამწერი მონაცემების ჩამორთმევა პოლიციის თანამშრომლის მხრიდან დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, მაგრამ ჩამორთმევა კონკრეტული გარემოების მითითებით უნდა დასაბუთდეს. ჩამორთმეული მონაცემებიდან ნებისმიერი მასალის წაშლა პოლიციის მხრიდან სერიოზულ გადაცდომას წარმოადგენს.⁷⁵

ამდენად, რადგან პოლიციის თანამშრომლებისა და მოქალაქის ურთიერთობაში, ორივე მხარე ხშირად იყენებს მობილურ ტელეფონს ვიდეოგადაღებისთვის, მიზანშეწონილია, ამ საკითხის კარგ პრაქტიკაზე დაფუძნებული საკანონმდებლო მოწესრიგება.

5.3 შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვა

პოლიციის განყოფილებების გარე და შიდა სივრცეების ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით აღჭურვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კიდევ ერთი ქმედითი ინსტრუმენტი, რომელიც არასათანადო მოპყრობის თაობაზე ბრალდების შემთხვევაში, გამოძიების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

72 ვ.მ.-ის საქმე.

73 ბ.რ.-ს საქმე.

74 უნგრეთის პელსინვის კომიტეტი, გვ. 68.

75 იქვე. გვ.119.

ორგანიზაციის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიციის განყოფილებები სამეთვალყურეო ვიდეოკამერით, მეტნილად, შენობის შესასვლელს (ოპერატიული მორიგის ტერიტორიას) იღებს. არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, EMC-ის წარმოებულ არცერთ საქმეში, სადაც მოქალაქე პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში მასზე ძალადობის ფაქტზე უთითებდა, ვიდეომეთვალყურეობის კამერა დამონტაჟებული არ ყოფილა პოლიციის მიერ მოქალაქეთა გამოკითხვის თუ მათთან უშუალო კონტაქტის სივრცეებში. პოლიციის შენობის შესასვლელში დამონტაჟებული კამერით კი, მხოლოდ სამართალდამცავთა და დაკავებულთა შენობაში შესვლისა და შენობის დატოვების ზუსტი დროების დადგენა იყო შესაძლებელი, მაშინ, როდესაც სავარაუდო ძალადობის ფაქტები ამავე პოლიციის დანაყოფებში სწორედ ვიდეოკამერებისგან თავისუფალ სივრცეებში მოხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფების, გამოკითხვის ოთახების, შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით აღჭურვის დეტალების თაობაზე საჭარო ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, უწყებამ ეს ინფორმაცია არ მოგვანოდა. სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიშში, შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაკრიტიკებულია პოლიციის სამმართველოების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოკამერებით სათანადოდ დაფარვის პრობლემა, ისევე როგორც ყველა საპოლიციო დანაყოფის შიდა პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის მხოლოდ შენობის შესასვლელის ტერიტორიაზე განხორციელება, რაც უკონტროლოდ ტოვებს სამართალდამცავთა ზედამხედველობის ქვეშ მყოფ თავისუფლებაშეზღუდულ მოქალაქეებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობებზე განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის ჩამწერ მონაცემთა მონაცემების შენახვის ვადა ამავე ტექნიკური საშუალებების მახასიათებლებზე და მოკიდებული, თუმცა ისინი არანაკლებ 14 დღის ვადით და არაუმეტეს სამი წლით შეიძლება შეინახოს.⁷⁶

პოლიციის განყოფილებების სამეთვალყურეო კამერებით კონტროლთან დაკავშირებით, კარგ პრაქტიკად მიიჩნევა საპოლიციო დანაყოფების უმეტესი ნაწილის, მათ შორის, სამორიგეო ნაწილის, საკნებისკენ მიმავალი დერეფნების ელექტრონული მონიტორინგი. ასეთი საპილოტე პროექტი ირლანდიაში, დუბლინში, სადაც პოლიციის განყოფილებების უმეტეს ნაწილში მონიტორინგი კამერების მეშვეობით არის უზრუნველყოფილი, დადებითად შეფასდა ადამიანის უფლებათა დამკვირვებლებსა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტში.⁷⁷ სამეთვალყურეო კამერებით კონტროლმა უნდა უზრუნველყოს დანესებულებებში მიმდინარე მოვლენების მონიტორინგი, აღკვეთოს დაკავებულის მიერ და დაკავებულებს შორის ძალადობა და უზრუნველყოს გარანტიები წამებისა და სას-

76 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის MIA 51902888374 წერილი.

77 CTI, გარანტიები საპოლიციო დაკავების პირველ საათებში, UNCAT, საიმპლემენტაციო ინსტრუქციები 2/2017, გვ. 7.

ტიკი მოპყრობის წინააღმდეგ, ასევე, ემსახუროს პოლიციის მაღალჩინოსნების დაცვას ყალბი ბრალდებებისგან.⁷⁸

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად ელექტრონული რესურსების გამოყენების ეფექტიანობის მიუხედავად, ამ ტექნიკური საშუალების დანერგვისას სამართალდამცავ სისტემაში ყურადღება უნდა მიექცეს დაკავებულთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვასაც, რაც გამორიცხავს კონკრეტულ ადგილებში, მაგალითად, საპირფარეშოებსა ან საშხაპე ზონებში, პირის კამერებით გადაღებას. ისეთ ადგილებში, სადაც მიმდინარეობს ადვოკატებთან შეხვედრა, ან სამედიცინო შემომწმება, ვიდეოკამერებით ჩანერა დაუშვებელი უნდა იყოს. სათვალთვალ კამერები გამოსაფხიზლებელ საკნებში, ან იმ ადგილებში, სადაც სხეულის შიშველ მდგომარეობაში დათვალიერება ხდება, შესაძლოა კამათის საგანი იყოს.⁷⁹

აღნიშნულის გათვალისწინებით, საპოლიციო დანაყოფებში სამართალდამცავთა კონტროლის ქვეშ მყოფ პირებზე ძალადობის თავიდან ასაცილებლად, ყურადღება უნდა მიექცეს პოლიციის შენობათა იმ სივრცეების ვიდეოსამეთვალყურეო მონაცემებით აღჭურვას, რომლებშიც მოქალაქეებთან საპოლიციო/საგამომძიებო ღონისძიებები მიმდინარეობს. მნიშვნელოვანია სამართალდამცავთა დავალდებულებაც, მოქალაქეებთან კომუნიკაცია სწორედ ამგვარ, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფილ სივრცეებში ჰქონდეთ.

6. ძალის გადამეტების პრევენციის მიზნით სწავლება და გადამზადება

საპოლიციო საქმიანობა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განუხრელად დაცვის, პატივისცემის, კანონიერებისა და თანაბრობის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს.⁸⁰ ადამიანის უფლებათა დაცვის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი პოლიციის სახით შექმნილი სახელმწიფო ინსტიტუტი უნდა იყოს, რომელიც კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის კონსტიტუციურ-სამართლებრივი სიკეთეების დასაცავად, პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების (რეპრესიულ) ღონისძიებებს განახორციელებს.⁸¹ სახელმწიფოსგან საპოლიციო სისტემის წარმომადგენელთათვის მინიჭებული ძალის

78 APT, PRI; საინფორმაციო ბიულეტენი: ვიდეოგადაღება საპოლიციო საპატიმროებში, (2015), გვ.1, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/34bRzHT>.

79 იქვე, გვ. 3.

80 პოლიციის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

81 ტურავა, პაატა, „საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან“, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში, გვ. 119-138, 2014.

გამოყენების უფლებამოსილება, ადამიანის უფლებების არცოდნისა და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონის პირობებში, უფლებრივი დარღვევების საფრთხედ შეიძლება იქცეს. პოლიციის თანამშრომელთა არაპროპორციული, არამართლზომიერი ქმედებების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, სამართალდამცავი სისტემის შიგნით, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული კვალიფიციური სწავლებაა. ამ თვალსაზრისით მომზადება გულისხმობს პოლიციის თანამშრომლის მიერ, ერთი მხრივ, საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებისა და მეორე მხრივ, სხვათა უფლებების ცოდნას, ამავე დროს, პოლიციისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კრიტიკულ სიტუაციებში ხსენებული უფლებების დასაცავად საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების ქონა.⁸²

არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში წარმოებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზიც, ხშირ შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომელსა და მოქალაქეს შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციის დროს პოლიციის მიერ გამოყენებული ძალის პროპორციულობის შეფასებას საჭიროებს. საპოლიციო თუ იძულების ღონისძიების პროპორციულად და თანაზომიერად გამოყენების კანონით გათვალისწინებული მოთხოვნა პრაქტიკაში ქმედითია, თუ პოლიციის თანამშრომელი მოქალაქის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევს, აგრესიული ქცევის მართვის უნარებს ფლობს.

ორგანიზაციის წარმოებაში არსებულ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ დაკავებისას მოქალაქის წინააღმდეგობის მოგერიების, ბრავის მართვის თეორიული თუ პრაქტიკული უნარ-ჩვევების არქონა სამართალდამცავთან ურთიერთობისას მოქალაქის ფიზიკური დაზიანებებისა და სხვაგვარი უფლებრივი დარღვევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ამდენად, წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში პოლიციელთა თეორიული და პრაქტიკული სწავლების საკითხებზე.

6.1 არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პოლიციელთა სწავლება და გადამზადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემა მოსამსახურედ მიღებისთვის წოდების მიხედვით განსხვავებულ განათლების ცენზს ადგენს. უმცროსი სპეციალური წოდების თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელი წინაპირობა სრული ზოგადი განათლების ქონაა. საშუალო სპეციალური წოდებით საქმიანობისთვის პირს უმაღლესი განათლება, ან სრული საშუალო განათლება უნდა ჰქონდეს. ზოგადი განათლების მქონე პირთათვის დამატებით სავალდებულოა სამინისტროს აკადემიაში სპეციალური პროფესიულ საგანმანათლებლო/მომზადების კურსების გავლა.⁸³

82 Schicht Günter, Menschenrechtsbildung für die Polizei, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2satSif>.

83 „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლი.

პოლიციელობის მსურველთათვის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო და მოქმედ თანამშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების სასწავლო პროგრამის შინაარსს სამინისტროს აკადემია განსაზღვრავს. აკადემიას შემუშავებული აქვს მსმენელთა საბაზისო მომზადების პროგრამა, რომელიც მსმენელებს მართლწესრიგის ოფიცრების, გამომძიებლების, პატრულ-ინსპექტორებისა და უბნის ინსპექტორების ფუნქციების შესასრულებლად სამართლის სხვადასხვა მიმართულებით ამზადებს. სწავლება მთლიანობაში ოთხიდან ხუთ თვემდე გრძელდება.⁸⁴ აკადემიის ფარგლებშივე სამინისტროს უკვე მოქმედი თანამშრომლების შემდგომი პროფესიული ზრდის ხელშესაწყობად, მოქმედებს დანინაურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა.

საბაზისო პროგრამის ფარგლებში, აკადემიის მსმენელთა ადამიანის უფლებების დარგში სწავლებისთვის 24 აკადემიური საათია გამოყოფილი. სასწავლო კურსი ყურადღებას ამახვილებს დაკავებულის სათანადო მოპყრობის და ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიებზე. კურსი ასევე მოიცავს წამებისა და არასათანადო მოპყრობის აკრძალვის, თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების ეროვნულ თუ საერთაშორისო კანონმდებლობას, სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს წამების აკრძალვასთან მიმართებით, დაკავების საფუძვლების დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულებას და დაკავებულის უფლებებთან დაკავშირებულ ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს.⁸⁵ დასახელებულ საკითხთა მოცულობისა და შეზღუდული დროის გათვალისწინებით, რთულია ვივარაუდოთ, რომ აკადემიის მსმენელთა მომზადება ადამიანის უფლებების სფეროში სიღრმისეულ ხასიათს ატარებს.

ადამიანის უფლებების თეორიულ სწავლებასთან ერთად, აკადემიის მსმენელები მომზადებას გადიან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან კომუნიკაციის თავისებურებებთან დაკავშირებით. სასწავლო პროგრამა, რომელიც სულ 30 აკადემიური საათისგან შედგება, მოიცავს ბრახისა და აგრესიული ქცევის მართვის საკითხებს, ასევე, აგრესიული ქცევის მქონე მოქალაქეებთან ეფექტიანი კომუნიკაციის რეკომენდაციებს. ექვსი აკადემიური საათი აქვს დათმობილი კონფლიქტური სიტუაციების მართვისა და მოლაპარაკების წარმოების უნარებს, ცალკე სალექციო თემად არის გამოყოფილი საზოგადოების მონყვლად ჯგუფებთან ურთიერთობა (14 აკადემიური საათი), რაც, მათ შორის, გულისხმობს საცხოვრისის არმქონე თუ არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის მომზადებას.

საბაზისო მომზადების პროგრამის ფარგლებში საპოლიციო საქმიანობისა და ადამიანის უფლებების ურთიერთმიმართებაზე ორიენტირებული სწავლებისთვის გამოყოფილი შეზღუდული დრო და რესურსი შესაძლებელია დაბალანსდეს, თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პარალელურად, პოლიციის თანამშრომელთა ფუნქციების სპეციფიკის

84 იხ. პოლიციის აკადემიის სასწავლო პროგრამა, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33eGJiN>.

85 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 7 ოქტომბრის MIA41902661905 წერილი.

მიხედვით, თეორიული და პრაქტიკული უნარები, გარკვეული პერიოდულობით, გადამზადების კურსების მეშვეობით დაიხვეწება. მოქმედი რეგულაციით, სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და ოპერატიული ქვედანაყოფის საშუალო რგოლის მენეჯერების,⁸⁶ ასევე, დეტექტივ-გამომძიებელთა, უბნის ინსპექტორ-გამომძიებელთა, მართლწესრიგის ოფიცრებისთვის გადამზადების კურსის გავლა ვალდებულების სახით ხუთ წელიწადში ერთხელ არის გათვალისწინებული. გადამზადების კურსის წარუმატებლად ჩაბარების შემთხვევაში, პირი თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან.⁸⁷ სავალდებულო წესით გადამზადებისთვის დადგენილი 5-წლიანი ინტერვალი ვერ უზრუნველყოფს თანამშრომელთა კვალიფიციურობის გაზრდას და სხვადასხვა მიმართულებით არსებულ საკანონმდებლო თუ ინსტიტუციურ ცვლილებებზე მათ მორგებას.

საბაზისო მომზადების პროგრამასთან ერთად, აკადემიაში სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებისთვის განერილია დანინაურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა, რომელიც გამომძიებლებისა და დეტექტივ-გამომძიებლებისთვის კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთათვის თანამდებობრივი დანინაურების საგანმანათლებლო კურსს და მართლწესრიგის ოფიცრების პროგრამას თანამშრომელთა პროფილის მიხედვით, შინაარსობრივად განსხვავებულად განსაზღვრავს. 2018 წელს ხელმძღვანელ თანამდებობაზე დანინაურების კურსზე გაიგზავნა სამინისტროს 140 მოსამსახურე, ხოლო სხვადასხვა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე - სამინისტროს 1250 თანამშრომელი.⁸⁸

სხვადასხვა საპოლიციო რგოლზე დაკისრებული მოვალეობები განსხვავდება საზოგადოებაში მათი ფუნქციების მიხედვით. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო დისციპლინებიც, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენელთა კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად საჭირო მომზადებაზე იყოს ორიენტირებული. ამ თვალსაზრისით, სამინისტროს მოსამსახურეთა მომზადების და გადამზადების პროგრამები შინაარსობრივად იდენტური არ არის. მაგალითისთვის, თვალსაჩინოა, რომ მოქალაქეებთან ურთიერთობის ინტენსივობის მიხედვით, მართლწესრიგის ოფიცრებისა და პატრულ-ინსპექტორთა მომზადებისას მეტი ყურადღება ეთმობა კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარებას, სისხლის სამართლის საქმის გამომძიებელთა შემთხვევაში კი, პრიორიტეტი საგამომძიებო საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული მომზადებაა. ამის მიუხედავად, მიზანშეწონილია, სასწავლო დისციპლინებში მეტად იყოს გამოკვეთილი საპოლიციო რგოლის საქმიანობის სპეციფიკა, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომელთა ორიენტირებულ მომზადებას მათივე საგამომძიებო, ოპერატიული თუ საპოლიციო საქმიანობის შესაბამისად.

86 N995 (31-12-2013) ბრძანების 77 პრიმა მუხლის მიხედვით, მოიცავს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, ტერიტორიული ორგანოს განყოფილების უფროსისა და მოადგილის, სამმართველოს უფროსისა და მოადგილის, საპატრულო პოლიციის ოცმეთაურის, ცვლის უფროსის, ცვლის მეთაურის, განყოფილების უფროსისა და მოადგილის, სამმართველოს უფროსისა და მოადგილის თანამდებობებს.

87 „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N995 ბრძანება, 771-ე მუხლი.

88 საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 29 ოქტომბრის MIA 31902884952 წერილი.

აკადემიის ფარგლებში არასათანადო მოპყრობის პრევენციაზე ფოკუსირებული სწავლების კურსი გათვალისწინებული არ არის. მოქმედი თანამშრომლების გადამზადების კურსი განსხვავდება ოპერატიული ფუნქციების განმახორციელებელი თანამშრომლებისა და გამომძიებლებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ საპოლიციო პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების აღრევა პრაქტიკაში მნიშვნელოვანი პრობლემაა⁸⁹. ეს უკანასკნელნი კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამის ფარგლებში ცოდნას იღრმავებენ სისხლის სამართლის მატერიალურ და პროცესუალურ საკითხებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებების სფეროში სწავლება მეტწილად ზოგადი ხასიათისაა. ამასთან, გამომძიებლების სწავლებისას ყურადღება მახვილდება კონკრეტული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისა და დოკუმენტირების პრაქტიკულ ცოდნაზე. ხოლო ოპერატიული ფუნქციების მქონე თანამშრომლების მომზადება, სისხლისსამართლებრივი საკითხების სწავლების პარალელურად, ორიენტირებულია დაკავებისა და ძალის გამოყენების პრაქტიკული უნარების შეძენაზე.

კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო პროგრამა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში

შს მოსამსახურე	ადამიანის უფლებები	ძალის გადამტების პრევენციის პრაქტიკული მომზადება/ საზოგადოებასთან კომუნიკაცია
გამომძიებლები	✓ ადამიანის უფლებების ზოგადი მიმოხილვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში (6 აკად. საათი)	-
უბნის უფროსი ინსპექტორ-გამომძიებლების, უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებისთვის დანიშნულების პროგრამა	<ul style="list-style-type: none"> ✓ ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები ✓ ცალკეული უფლებების შინაარსობრივი ფარგლები (18 აკად. საათი) ✓ ევროპული სასამართლოს პრეცედენტული საქმეების განხილვა (6 აკად. საათი) 	<ul style="list-style-type: none"> ✓ ტაქტიკური, საცეცხლე და სპეციალურ საშუალებებში მომზადება (24 სთ) ✓ ფიზიკური იძულების სპეციალური ილეთები (10 სთ - დაკავების ილეთების, წინააღმდეგობის ძალის გამოყენებით მოგერიების პრაქტიკული სწავლება)
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მოსამსახურეთა თანამდებობრივი დანიშნულების სასწავლო პროგრამა	✓ მენეჯერული მომზადება	✓ ეფექტიანი კომუნიკაცია საზოგადოებასთან
მოქმედი თანამშრომლების მართლწესრიგის ოფიცრად გახდომის მოსამზადებელი კურსი	<ul style="list-style-type: none"> ✓ ადამიანის უფლებები და პოლიცია (18 აკად. საათი) ✓ ცალკეული უფლებების მიმოხილვა საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ სწავლება 	<ul style="list-style-type: none"> ✓ ბრაზის/კონფლიქტური სიტუაციების მართვის სწავლება ✓ მოწყვლად ჯგუფებთან ურთიერთობა

89 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ (EMC) კვლევა, საგამომძიებო სისტემის ანალიზი, 2018, გვ. 32.

სამინისტროს თანამშრომლებისთვის ცალკე კვალიფიკაციის ამბლებების სასწავლო პროგრამა მოქმედებს აკადემიაში ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. კურსი 6-დღიანია და მოიცავს ძალის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლებისა და ძირითადი პრინციპების, პოლიციელის პირადი უსაფრთხოების საკითხებს, სიცოცხლისა და შეკრების თავისუფლების უფლებით სარგებლობის ძირითად ასპექტებს. სასწავლო მოდულის მიხედვით, პროგრამა არსებითად ორიენტირებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების პრაქტიკული უნარების დახვეწაზე, თუმცა არ მოიცავს იძულების სხვა საშუალებებისთვის საჭირო სწავლებას. ამგვარი მიდგომა პრობლემურია, ვინაიდან იძულების ღონისძიებების პროპორციული და თანაზომიერი გამოყენების პრინციპი პოლიციის მოქმედ თანამშრომლებს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებამოსილებას უკიდურეს შემთხვევაში აძლევს. კურსის ფარგლებშივე მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ თანამშრომლები ალტერნატიული, ნაკლებად დამამიანებელი საშუალებების, ილეთების, წინააღმდეგობის განწევის პროპორციული ძალის გამოყენების პრაქტიკული მეთოდების შესახებ საფუძვლიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გადიოდნენ.

წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საკითხებზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის⁹⁰ მიხედვით, პოლიციელთა მრავალმხრივი, რეგულარული და შედეგზე ორიენტირებული ტრენინგები აუცილებელი ასპექტია დაპატიმრებისას ან საპოლიციო დაკავებისას ძალადობისა და სასტიკი მოპყრობის თავიდან ასაცილებლად. დოკუმენტის თანახმად, პოლიციელთათვის ჩატარებული ტრენინგები უნდა მოიცავდეს ისეთ საკითხებზე განსაკუთრებულ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, რომელთა გამოყენების დროს მოქალაქის მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი მაღალია. კერძოდ, სამართალდამცავი უწყების თანამშრომელი უნდა იცნობდეს დაპატიმრების მარეგულირებელ საერთაშორისო და ეროვნულ კანონმდებლობას, ძალის გამოყენების დიფერენცირებული მიდგომის სტრატეგიებსა და ძალის დეესკალაციის ტექტიკას, მესამე მხარის (დაკავებულის ოჯახის წევრები, გამვლელები, მოწმეები) დაცვის წესებს. ანგარიში ასევე მიუთითებს დაკავების, დაპატიმრების შემდგომი პროცედურების, გამოკითხვის ჩატარების თეორიულ და პრაქტიკულ ჭრილში სწავლების აუცილებლობაზე, სიტუაციური სავარჯიშოების გამოყენების, გამოკითხვების ჩანერისა და განხილვის საჭიროებაზე.⁹¹ დაკავებასთან დაკავშირებით, ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია ძალისა და სხვა შემაკავებელი მონყობილობების გამოყენების, დაკავებულთა მიმართ ჰუმანური მოპყრობით საქმის წარმართვის მნიშვნელობაზე. ამავე დოკუმენტის თანახმად, გარდა სპეციალური გადამზადების კურსებისა, პოლიციელებს ასევე უნდა ჩაუტარდეთ ინტერპერსონალური კომუნიკაციის, კონფლიქტის არაძალადობრივი მართვისა და სტრესის მართვის ტრენინგები ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ეტაპზე.⁹²

90 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში (A/71/298) 2016, § 56.

91 გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებზე, წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის შუალედური ანგარიში (A/71/298) 2016, § 56.

92 APT, საპოლიციო პატიმრობის მონიტორინგი, გვ. 164.

პოლიციელთა პროფესიული მომზადების კუთხით, კარგი პრაქტიკის მაგალითია გაერთიანებული სამეფო, რომელშიც, სამართალდამცავების ტრენინგის ძირითადი კომპონენტია „პატიმრობა“. დასახელებული კურსი მოიცავს დაკავებასა და პატიმრობასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, დაწყებული დაკავებულის დარეგისტრირებიდან, დაკავებულის მოვლისა და მისი პატიმრობიდან გათავისუფლების ჩათვლით. ამასთან, პოლიციელთა მომზადების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა ტრენინგების ჩატარება თანამდებობაზე ყოფნის დროს და სისტემატური სწავლება ადამიანის გარდაცვალების თუ არასასურველი ინციდენტების თაობაზე გამოცდილებასთან დაკავშირებით. პოლიციელთა გადამზადებას მალალი თანამდებობის პირები ტრენინგის საჭიროებების ანალიზის მეშვეობით გეგმავენ, რომელიც წლიური პიროვნული განვითარების მიმოხილვის პროცესის ნაწილია.⁹³

ზემოთქმულის გათვალისწინებით, აკადემიაში, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება პოლიციის თანამშრომელთა ძალის გამოყენების, დაპატიმრების სტანდარტებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ინტენსიურ სწავლებაზე. მოქმედი რეგულაცია პოლიციელთა სავალდებულო წესით 5-წლიანი ინტერვალით გადამზადების თაობაზე ვერ პასუხობს საუკეთესო პრაქტიკით დადგენილ სტანდარტს, სამართალდამცავთა ინტენსიური გადამზადების შესახებ. ამასთან, გაერთიანებული სამეფოს მიდგომის მსგავსად, მიზანშეწონილია, აკადემიაში არსებობდეს არასათანადო მოპყრობის პრევენციის ყოვლისმომცველი პრაქტიკული კურსი, რომელიც ერთობლივად მოიცავს გამოკითხვის, დაკავების, დაპატიმრების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს.

93 Authorised Professional Practice, Detention and custody, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2pGqPJd>.

III. დასკვნა

სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობის დაუსჯელობის პრობლემის გადაჭრის თვალსაზრისით, კანონმდებლობაში ბოლო პერიოდში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული დადებითი ცვლილებების, - მათ შორის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სახით დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ამოქმედების, არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მოსამართლის როლის გაზრდის, - მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმის საჭიროება ისევ დგას. სამართალდამცავი სისტემის მოქმედი ინსტიტუციური, საკანონმდებლო და ორგანიზაციული მონყობა, არასათანადო მოპყრობის ხელშემწყობი ფაქტორების აღმოსაფხვრელად, კომპლექსურ ცვლილებებს საჭიროებს.

ფუნდამენტურად უნდა შეიცვალოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული პროცესუალური კანონმდებლობა, რომელიც არასათანადო მოპყრობის საქმეებში, ძირითადი უფლებების უზრუნველყოფელი სტანდარტების არარსებობის პირობებში, განსაკუთრებით პრობლემურია. გამონკვევად რჩება საპოლიციო დაწესებულებების, პოლიციის სარგებლობაში არსებული ავტომანქანების, სამართალდამცავთა სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, რაც, პოლიციის კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ სასტიკი მოპყრობის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

გარდა ამისა, არასათანადო მოპყრობის აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძალის გამოყენების თაობაზე ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას, ადამიანის უფლებების, მოქალაქეებთან კომუნიკაციისა და იძულების ღონისძიებების პრაქტიკული საკითხების თვალსაზრისით სამართალდამცავთა ინტენსიური მომზადებისა და გადამზადების საკითხებს.